აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№135 (25.015) შაბათი, 10 - 12 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 764 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საფრანგეთის რესპუბლიკის სენატის ყოფილ წევრებს, კახეთი-იონის ფრანგული სამედიცინო ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა. ფრანგულმა მხარემ ისაუბრა მათ ამჟამინდელ საქმიანობაზე კახეთის რეგიონში, სადაც მათ მიერ გახსნილი მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი ფუნქციონირებს. შალვა პაპუაშვილმა მადლიერება გამოხატა ფრანგული მხარის მიმართ საქართველოსთან აქტიური თანამშრომლობისთვისა და მეგობრობისთვის. ფრანგულმა მხარემ წარმატება უსურვა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

* * *

ევროპულმა საბჭომ საქართველოსთვის ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტის ფარგლებში ფინანსური დახმარების მორიგი პაკეტი დაამტკიცა. 20 მილიონი ევროს ღირებულების დახმარება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას ისახავს მიზნად და ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან საქართველოს აქტიურ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს. ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტით წელს პირველად საქართველოსთვის კიბერუსაფრთხოების სფეროს მხარდაჭერა მოხდება. ასევე, დახმარების პაკეტი სამხედრო-სამედიცინო, სამხედრო-საინჟინრო და სატრანსპორტო შესაძლებლობების გასაძლიერებლად იქნება მიმართული.

* * *

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, არამოსამართლე წევრის 5 ვაკანტურ თანამდებობაზე წევრები კონსენსუსით უნდა შეირჩნენ და ამისთვის კონსულტაციების გამართვა იქნება საჭირო, განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა. „ჩვენი ამოცანაა, შევარჩიოთ დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი და პროფესიონალი წევრები, რომლებსაც შემდგომ პარლამენტმა მხარი უნდა დაუჭიროს. მნიშვნელოვანია ამ საკითხზე ოპოზიციის ჩართულობა, 90 ხმის მობილიზება ერთ რომელიმე პარტიას არ შეუძლია, შესაბამისად, აუცილებელია კონსულტაციების წარმართვა ამ პროცესზე“, - აღნიშნა მან.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტის სასამართლო პროცესის დროში გაწელვა მიუღებელია. როგორც ნიკა მელიამ პროცესის გადადებასთან დაკავშირებით საუბრისას ჟურნალისტებს განუცხადა, არაა იმის ფუფუნება, რომ საკითხის განხილვა სასამართლო დარბაზში ერთი თვე გაგრძელდეს. მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც გუშინ უნდა ჩატარებულიყო, 14 დეკემბრისთვის გადაიდო.

მოამზადა
ია შველიძემ

აჭარაში სპორტის და სპორტული ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით, სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ფინანსთა მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე და ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ესწრებოდნენ

საუბარი შეეხო სპორტის მიმართულებით აქტუალურ საკითხებს. აჭარაში 2023 წლისთვის იზრდება სპორტის მხარდაჭერა და დაფინანსება, ასევე იზრდება ფედერაციების და მასობრივი სპორტის დაფინანსება. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულებს ერთჯერად ჯილდოებთან ერთად დაენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია. აჭარაში სწრაფი ტემპით ვითარდება სპორტული ინფრასტრუქტურა. აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მოედნების, სპორტული დარბაზების, სარაგბო და საფეხბურთო სტადიონების მშენებლობა. დასრულდა ბათუმის საფეხბურთო სტადიონის, სპორტკომპლექსის და შუახევის ფიფას სტანდარტების სტადიონის მშენებლობა.

აჭარაში 3 სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა მიმდინარეობს და 10 პროექტის განხორციელება 2023 წლიდან ეტაპობრივად დაიწყება. მიმდინარე პროექტებია: ღორჯომის სპორტული დარბაზი, ჩაქვის სარაგბო სტადიონი, ჩაქვის ძალოსნობის ბაზა. 2023 წლისთვის იგეგმება 155 მლნ ლარის ღირებულების 10 პროექტის განხორციელება. ესენია: ქობულეთისა და ხელვაჩაურის სასპორტო კომპლექსები, მაჭახელას საფეხბურთო სტადიონი, ყინულის არენა და საცურაო აუზი, ხუცუბნისა და ფურტიოს სარაგბო მოედნები, ბათუმის საჩოგბურთო კორტები, ჭადრაკის სასახლე, ქედის სასპორტო კომპლექსი, ქედის საფეხბურთო მოედანი.

აჭარის მთავრობის
პრესსამსახური

რეგიონში სერვისები

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამის ფარგლებში, აჭარაში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის კარდიოქირურგიული (გეგმური, ურგენტული) ოპერაციები სრულად ფინანსდება

აღნიშნული ცვლილება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) მიხედვით დაფინანსების ახალი მექანიზმის ამოქმედებამ განაპირობა.

კერძოდ, ცვლილება განაპირობა DRG-ის ფარგლებში აღნიშნული სერვისების საბაზისო ღირებულების განსაზღვრამ, დარჩენილ თანაგადახდას კი აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო გულის ქირურგიის პროგრამით ფარავს. საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროების პროგრამების ფარგლებში, ასევე, გარკვეული სოციალური კატეგორიის მოქალაქეებისათვის სრულად ფინანსდება გეგმური გულის ან/და კორონალური არტერიების ანგიოგრაფია. აღნიშნული ცვლილებები მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა.

კარდიოქირურგიული სრულად ფინანსდება

2023 წელს, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამის ფარგლებში, გაიზრდება ზოგიერთი კარდიოლოგიური სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროცენტული წილი, რომელიც არ არის განსაზღვრული DRG მეთოდით და დაფინანსდება 80-დან 100 %-ის ფარგლებში. ასევე, გაიზრდება იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება 90%-მდე, რომელიც ფინანსდება DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო ბენეფიციარი ვერ ხვდება ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში.

იხ. გვ-2 გვ.

აქ ქართული სული ხმიანობს

3

აღიარებული კომპოზიტორის სამასზე მეტი სიმღერა, მათ შორის ბათუმზეც, რომლებიც შემსრულებელს ელის

4

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბათუმის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება იგეგმება

დარინა გაბაიძე 27 48 93

ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გერმანიის მთავრობამ 55 მლნ ევროთი დააფინანსა

საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გაფორმდა სასესხო და საგრანტო შეთანხმებები ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის V ფაზის სამუშაოების თაობაზე.

სასესხო და საგრანტო შეთანხმებების მიხედვით, ქვეყნისთვის 53 მილიონი ევროს ოდენობის შეღავათიანი სესხი და 2 მლნ ევროს ოდენობის გრანტი გამოიყოფა.

სასესხო და საგრანტო შეთანხმებებს ხელი საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა და KfW-ს უფროსმა პორტფოლიო მენეჯერებმა ბერნდ ჰაზელმა და რობერტ როტმა მოაწერეს.

ხელმოწერის ცერემონიას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში პეტერ ფიშერი და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე დაესწრნენ.

პროექტი ბათუმის ტერიტორიაზე თანამედროვე წყლის სისტემების მოწყობას, ქალაქის სანიაღვრე სისტემების გამტარუნარიანობის გაუმჯობესებას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას ითვალისწინებს.

პროექტის მეხუთე ფაზის ფარგლებში, ადლიის, აეროპორტის, კახაბრის, ჩაქვის, ინდუსტრიული ზონის, ხელვაჩაურის და მეჯინისწყლის ტერიტორიაზე თანამედროვე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის მოწყობა იგეგმება.

ისრაელიდან მოწვეული აგროექსპერტები – აჭარის რეგიონში

დარინა გაბაიძე 27 48 93

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ხელშეწყობით და ისრაელის საელჩოს დახმარებით, ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო MASHAV-მა აჭარის რეგიონში მიმდინარე წლის დეკემბერში სასწავლო კურსები განახორციელა. პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი ფერმერების, ექსტენციონისტების და დარგის სხვა სპეციალისტებისათვის ჩატარდა ტრენინგები მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის და ბოსტნეულის ჩითილების ინტენსიურ წარმოებასთან დაკავშირებით.

სასწავლო კურსის ფარგლებში, განხორციელდა აჭარის რეგიონში არსებული სასათბურე და ღია გრუნტის ბოსტნეულის (ნაყოფის მომცემი და მწვანილეული ბოსტნეული) წარმოებაზე ორიენტირებულ მეურნეობებში საველე ვიზიტები, სადაც MASHAV-ის ტრენინგცენტრიდან მოწვეულმა ექსპერტებმა: მაირონ სოფერმა, ბოსრის ბორდმანმა და დანიელ ჰადადმა ადგილზე შეისწავლეს არსებული მდგომარეობა და თავიანთი ცოდნა გაუზიარეს ფერმერებს გავრცელებული მავნებელ-დაავადებების, მათ წინააღმდეგ მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ბრძოლის ღონისძიებების, ბოსტნეულის მოვლა-მოყვანისა და მაღალხარისხიანი ჩითილების წარმოების საკითხებთან დაკავშირებით. სასწავლო კურსში მონაწილეობდა 25 ადგილობრივი ექსტენციონისტი და დარგის სპეციალისტი, ასევე პრაქტიკული რეკომენდაცია გაეწია დაახლოებით 20-მდე ფერმერს.

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ამ შეხვედრების ორგანიზატორსა და USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის კონსულტანტ მამუკა თურმანიძეს.

- USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ხელშეწყობით 2021 წელს საქართველოდან 15-მდე ახალგაზრდა, დარგის სპეციალისტი ვიყავით ისრაელში, მაშავის საერთაშორისო ტრენინგცენტრში, რომელიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით მუშაობს. გავიარეთ ბოსტნეულის ინტენსიური წარმოების საკითხები. ტრენინგები გრძელდებოდა 3 კვირის განმავლობაში, ტრენინგების დასრულების შემდგომ ჯგუფი შევხვდით მაშავის ტრენინგცენტრის ხელმძღვანელობას და სამომავლოდ თანამშრომლობის სურვილი გამოვთქვით, რომ კარგი იქნებოდა, თუ მათი სპეციალისტები ჩამოვიდოდნენ საქართველოში და ადგილზე ნახავდნენ ჩვენთან არსებულ მდგომარეობას. ამ სურვილს განვითარება მოჰყვა და ისევ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ხელშეწყობით და საქართველოში ისრაელის საელჩოს დახმარებით მიმდინარე წლისთვის დაიგეგმა ისრაელიდან რამდენიმე აგროექსპერტის ვიზიტი საქართველოში. 2 კვირის წინ. ჩვენთან ჩამოსული იყვნენ სპეციალისტები მცენარეთა ინტეგრირებული დაცვისა და სხვადასხვა მცირე მექანიზაციის საშუალების შესაწამლი აპარატების გამოყენების ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. ამჟამად იმყოფებიან ბოსტნეულის ჩითილების ინტენსიურ წარმოებასთან დაკავშირებით ექსპერტები ისრაელიდან და ისინი საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ ჩვენს ადგილობრივ სპეციალისტებს, ფერმერებს, უნივერსიტეტისა და ამ დარგით დაინტერესებულ სხვადასხვა წარმომადგენელს. მონიშნული გვაქვს რამდენიმე საველე-სადემონსტრაციო ნაკვეთი, სადაც ექსპერტები ადგილზე არსებულ მდგომარეობას შეაფასებენ, რაც ყველაზე მთავარია, ეს არ იქნება ტრენინგი ტრენინგისთვის, შეხვედრების შემდგომ ისინი თავიანთ რეკომენდაციებს ჩამოაყალიბებენ და შემოგვთავაზებენ სამომავლოდ გარკვეული მიმართულებების შეცვლისა თუ გაუმჯობესების თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეხვედრების შემდგომ, ჩვენს ექსტენციონისტებს და სპეციალისტებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ ადამიანებთან გააგრძელონ კომუნიკაცია და სამომავლო თანამშრომლობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მოეწყობა როგორც ონლაინშეხვედრები, ასევე თითოეულ ექსტენციონისტს, ვისაც ეცოდინება მინიმალურ დონეზე ინგლისური ენა, ექნება შესაძლებლობა, ონლაინჩართვებით დაუკავშირდეს და გაუზიაროს მათ ინფორმაცია, გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებით დაუსვას შეკითხვები და მიიღოს პასუხები. ვფიქრობთ, ჩვენი სპეციალისტების ზრდისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების კუთხით, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, რაც სამომავლოდ თავიანთი საქმიანობის განვითარებისთვის გამოადგებათ.

კვლევის შედეგები შეაჯამეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული საბჭოს ორგანიზებით, ZOOM-პლატფორმის საშუალებით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის, გენდერული სტერეოტიპებისა და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევების თაობაზე შეხვედრა გაიმართა

შეხვედრა გახსნა ქალთა საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ელენე რუსეცკაიამ. ცენტრის წარმომადგენლებმა - ლელა ხომერიკმა, მაია კუპრავა-შარვაშიძემ და სანდრო სვანიშვილმა ისაუბრეს კვლევების შედეგებზე, სავალდებულო გენდერული კვოტების მექანიზმის ზეგავლენაზე, ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის სამომავლო გეგმებსა და მნიშვნელობაზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქედის მუნიციპალიტეტში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის, სამთავრობო უწყების, რესურსცენტრის წარმომადგენლები, გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის წევრები.

პროექტის მიზანია კვლევებზე დაფუძნებული საინფორმაციო კამპანიის წარმოება. ქალთა საინფორმაციო ცენტრმა კვლევები პროექტის „ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებაში“ ფარგლებში საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში ჩაატარა.

პროექტის მხარდამჭერია დანიური ორგანიზაცია KVINFO და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

აჭარაში კარდიოქირურგიული სერვისები სრულად ფინანსდება

პირველი გვერდიდან

აღნიშნული სიახლეების და სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილი პროგრამების შესახებ, მინისტრი ნინო ნიჟარაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფლის ექიმებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებს ესაუბრა.

მინისტრის განმარტებით, 2023 წელს სამინისტროს ბიუჯეტი 4 000 000 ლარამდე გაიზრდება და 32 735 000 ლარი იქნება. შესაბამისად, გაიზრდება პროგრამების ბიუჯეტი და მოსარგებლეთა რაოდენობა, ასევე, ამოქმედდება რამდენიმე ახალი პროგრამა.

„სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხის გაუმჯობესება. ამიტომ, 2023 წელს განსახორციელებელი პროექტები თავისი შინაარსითა და მოცულობით სწორედ ამ აქცენტებზეა აგებული. შეხვედრის მონაწილეებს გავაცანით მომავალი წლის ბიუჯეტში დაგეგმილი სიახლეები და ცვლილებები, ასევე, განვიხილეთ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს DRG მოდელისა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს თანადაფინანსების მეთოდი გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამის“ მაგალითზე, - აღნიშნა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

მომავალ წელს პირველად დაფინანსდება ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა ახალი თაობის ანტიანგიოგენური პრეპარატებით. დაიწყება ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურების დაფინანსება. ასევე, პირველად დაიწყება შშმ სტატუსის მქონე 1 წლამდე ბავშვის მშობლის და ორსულის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 2000 ლარის ოდენობით.

ამბები

საქველმოქმედო აქცია – ჯვარში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის ბარათაულის ადმინისტრაციული ერთეულის ჯვარის უბანში რამდენიმე ოჯახი სახლობს. მათ შორისაა ტარიელ ცენტერაძის 7-წევრიანი ოჯახი, რომელთაგან რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. მათ ნორმალური საცხოვრებელი პირობები არ ქონდათ. ცენტერაძეების ოჯახი შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და მაჟორიტარი პარლამენტარის ანზორ ბოლქვაძის ყურადღების არეალშია. ტარიელის შვილები შუახევში არსებული დღის ცენტრის ბენეფიციარები არიან. ხელმოკლე ოჯახს სხვადასხვა დროს მატერიალური დახმარება გაეწია. უგზავნიდნენ სასურსათო პროდუქტებსა და ტანსაცმელსაც.

ამჯერად საქველმოქმედო პროექტის „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით და მთიანი აჭარის ინტელექტკლუბის ორგანიზებით, საქველმოქმედო თამაში „მოაზროვნე“ ჩატარდა. შუახევში არსებული ორგანიზაცია-დაწესებულებების თანამშრომლებმა, თამაშში მონაწილეობასთან ერთად, თანხებიც გაიღეს. შემოვიდა 4214 ლარი.

აღნიშნული თანხით სოფელ ბარათაულში მცხოვრებ ტარიელ ცენტერაძის სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახს დაეხმარნენ. თანხის ნაწილი საცხოვრებელი სახლის შეკეთებას მოხმარდა, ნაწილი - სასურსათო პროდუქტების შეძენას. ოჯახში არ ჰქონდათ საწოლები და მაცივარი. მათ შესაძენად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ 2250 ლარი გაიღო.

პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი მურად ქათამაძე, წითელი ჯვრის საზოგადოების მენეჯერი იმედა ზოიძე ამ დღეებში ჯვარის უბანში იმყოფებოდნენ და ცენტერაძეების ოჯახს ყოველდღიური მოხმარების საოჯახო, საყოფაცხოვრებო ნივთები და საკვები პროდუქტები მიუტანეს.

- შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა გაწეული ქველმოქმედებისა და მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით აქციის ყველა მონაწილეს. ეს აქცია ერთჯერადი არ იქნება, ადგილობრივი თვითმმართველობა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, შშმ პირებზე ზრუნვას მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველო უკრაინელი ხალხისთვის გენერატორებს შეისყიდის

რუსეთის მიერ უკრაინის ენერგოობიექტებზე მიტანილი მასირებული სარაკეტო შეტევის შედეგად ქვეყნის ენერგოსისტემა მნიშვნელოვნად დაზიანდა - ნოემბრის ბოლოს 6 მილიონზე მეტი სახლი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა

ახლა უკრაინაში ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკია დაწესებული, თუმცა ყოველი შეტევის შემდეგ, სულ უფრო რთულდება მწყობრიდან გამოსული სისტემის აღდგენა. უკრაინის სახელმწიფო კომპანიის, „უკრენერგოს“ ხელმძღვანელ ვოლოდიმირ კუდრიცკის განცხადებით, ქვეყნის ენერგოობიექტებზე რუსეთის ბოლო მასირებული სარაკეტო შეტევისას 70-ზე მეტი რაკეტიდან 10-მდე სამიზნეებს მოხვდა და მნიშვნელოვნად დააზიანა ელექტროსადგურები და ქვესადგურები, საერთო ჯამში კი რუსულმა ძალებმა 1 000-ზე მეტი ჭურვი და რაკეტა გაისროლეს უკრაინის ელექტროქსელის წინააღმდეგ. კუდრიცკიმ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ უკრაინის ელექტროქსელის რემონტისთვის საჭიროა კომპლექსური აღჭურვილობა. მისივე თქმით, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე რუსეთის საჰაერო თავდასხმის ბოლო ტალღებმა სერიოზულად დაზიანა ქსელი და გამოიწვია საგანგებო და დაგეგმილი გათიშვა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„ეს თავდასხმები წარმოადგენს ყველაზე დიდ დარტყმას ელექტრო-ქსელისთვის, რაც კი კაცობრიობას ოდესმე უნახავს. ელექტროობიექტებსა და ხაზებს, მათ შორის, ქვესადგურებს, 1 000-ზე მეტი ჭურვი და რაკეტა ესროლეს“, - აღნიშნა „უკრენერგოს“ ხელმძღვანელმა. ამჟამად უკრაინა წარმოების სიმძლავრის სერიოზულ დეფიციტს განიცდის, მიუხედავად იმისა, რომ მოხმარება ომამდელ პერიოდთან შედარებით 25%-30%-მდეა შემცირებული.

- პრეზიდენტი პუტინი ცდილობს გამოიყენოს ზამთარი, როგორც იარაღი. რუსეთმა უკრაინის ყველაზე დაუცველი მოსახლეობა სიცივესა და სიბნელეში დატოვა. ოჯახები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები - ყველა სამიზნეს წარმოადგენს, - ასე გამოეხმაურა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი უკრაინაში შექმნილ ენერგოკრიზისს. მისი თქმით, სარაკეტო თავდასხმების შედეგად რუსებმა უკრაინის ენერგეტიკული სისტემის მესამედზე მეტი გაანადგურეს.

თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ უკრაინის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაბომბვა საპასუხო ქმედებებია ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ დარტყმებზე. „ბევრი ხმაურია ჩვენი დარტყმების შესახებ მეზობელი ქვეყნის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე. დიახ, ჩვენ ამას ვაკეთებთ. მაგრამ ვინ დაიწყო ეს? ვინ დაარტყა ყირიმის ხიდს, ვინ ააფეთქა კურსკის ატომური ელექტროსადგურიდან ელექტროგადამცემი ხაზები, ვინ არ აწვდის წყალს დონეცკს? მილიონნიანი ქალაქისთვის წყლის არმიწოდება - ეს გენოციდის აქტია. ამაზე არავის არსად სიტყვა არ უთქვამს. სრული დუმილია. ჩვენ უბრალოდ უნდა განვაგრძოთ მოქმედება და გავაკეთოთ რაიმე საპასუხოდ. ხმაური, რომელმაც მსოფლიო მოიცვა, ვერ შეგვიშლის ხელს, ჩვენი საბრძოლო მისიების შესრულებაში“, - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

უკრაინის ხელისუფლებამ კი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გენერატორებითა და ტრანსფორმატორებით დახმარება ითხოვა, ხოლო პარტნიორმა ქვეყნებმა აღნიშნულით ქვეყნის მომარაგების გადაწყვეტილება მიიღეს. ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით გაჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ევროპამ კამპანია „იმედის გენერატორები“ დაიწყო. 200-ზე მეტი ევროპული ქალაქი და თვითმმართველობა აგზავნის უკრაინაში გენერატორებს ინიციატივის ფარგლებში. მაგალითად, საფრანგეთმა უკრაინას ამ მიზნით უკვე გადასცა საშუალო სიმძლავრის 100 გენერატორი.

6 დეკემბერს, საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ანდრეი კასიანოვმა განაცხადა, რომ საელჩომ ერთი თვის წინ მიმართა საქართველოს მთავრობას და გენერატორებითა და ტრანსფორმატორებით დახმარება სთხოვა, თუმცა პასუხი არ მიუღია.

„უკრაინას ამჟამად უკიდურესად სჭირდება დახმარება ელექტროენერგეტიკული სისტემის აღდგენაში - გენერატორებიდან და ტრანსფორმატორებიდან დაწყებული, რათა უზრუნველვყოთ განათება საავადმყოფოებისთვის, სახლებისთვის და სკოლებისთვის. კრემლის არაადამიანები და ჯალათები გულწრფელნი არიან თავიანთ განზრახვაში - მათ უნდათ გაანადგურონ უკრაინელები სიცივით. ერთი თვის წინ ჩვენ მივმართეთ საქართველოს მთავრობას შესაბამისი თხოვნით, თუმცა, სამწუხაროდ, დადებითი გადაწყვეტილება დღემდე არ მიგვიღია“, - აღნიშნა კასიანოვმა. იმავე დღეს, პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ თქვა, რომ საქართველო უკრაინას მაქსიმალურ ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ დახმარებას უწევს და არც გენერატორების მიწოდება იქნება პრობლემა. 8 დეკემბერს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უკრაინისთვის გენერატორების მიწოდების თემა ისეა წარმოჩენილი, თითქოს კიევი ე.წ. დვიჟოკებს ითხოვს. როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, მაღალი სიმძლავრის გენერატორები საქართველოში არ იწარმოება: „ჩვენ შეიძლება ფინანსურად დავეხმაროთ გენერატორების საყიდლად უკრაინას... შეგვიძლია, სადმე, სხვა ქვეყანაში შევიძინოთ მაღალი სიმძლავრის გენერატორები და მერე გავაგზავნოთ უკრაინაში, - თქვა მან, ბრიფინგზე გაკეთებული განცხადების გამო კი უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გააკრიტიკა.

- კასიანოვი ბრიფინგზე რომ გამოდის, შეხვდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს და იქ გაარკვიოს ასეთი საკითხები. ელემენტარული დიპლომატიური ეტიკეტის ამბავია. არ შეიძლება ასეთი სპეკულაციები, - დასძინა კობახიძემ.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, უკრაინელი ხალხისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, გენერატორების შესყიდვა განხორციელდება. აღნიშნული საკითხის უმოკლეს ვადებში შესრულება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა. მთავრობის ადმინისტრაციის უფროს რევაზ ჯაველიძის თქმით, ომის დაწყების დღიდან საქართველოს მთავრობა, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, არასოდეს აკლებდა ყურადღებას უკრაინელ მეგობრებს.

- როგორც მოგეხსენებათ, ომის დაწყების დღიდან, საქართველოს მთავრობა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში არასოდეს აკლებდა ყურადღებას ჩვენს უკრაინელ მეგობრებს, უკრაინის მოსახლეობას და მაქსიმალურად ცდილობდა, ყველანაირად დახმარებოდა მათ. ამის დასტურია ის, რომ საქართველო პირველ ადგილზე რჩება იმ ქვეყნებს შორის, ვინც ჰუმანიტარული დახმარება გაუწია ამ სახელმწიფოს. მინდა აუცილებლად აღვნიშნო ის მხარდაჭერა, რომელსაც სახელმწიფო დღეს აგრძელებს. 26 000 ადამიანი, უკრაინის მოქალაქე, რომელიც დღეს საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, იღებს სათანადო ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე შესაბამის მხარდაჭერას საგანმანათლებლო და სამედიცინო მიმართულებით. 2345 ახალგაზრდა სხვადასხვა სკოლაში სწავლობს დღეს საქართველოში, მათ შორის 1565 - უკრაინულ ენაზე. 900-ზე მეტ ადამიანს გაეწია სამედიცინო მხარდაჭერა, რეფერალური პროგრამების ფარგლებში, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. პირველი დეკემბრის მდგომარეობით, დაახლოებითი მხარდაჭერა, რაც სახელმწიფომ გაუწია უკრაინის მოქალაქეებს, 32 მილიონ ლარს შეადგენს. ჩვენი მხარდაჭერა არასოდეს შეჩერებულა და გაუგებარია ის აყიოტაჟი, რომელიც გამოწვეული იქნა სხვადასხვა წინადადების თითქოს განუხილველობის გამო, რომელიც საქართველოს სხვადასხვა უწყებაში შევიდა, მათ შორის, მთავრობის ადმინისტრაციაში. ჩვენ ყველა ამ წინადადებას ძალიან დეტალურად ვსწავლობთ და პრემიერის დავალებით, კონკრეტულად, გენერატორებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით, მოხდება შესაბამისი შესყიდვის განხორციელება ეკონომიკის სამინისტროს ხაზით და გაიგზავნება შესაბამისი მხარდაჭერა და ის ტექნიკა, რომელიც მოთხოვნილია, ჩვენს უკრაინელ მეგობრებთან, - განაცხადა რევაზ ჯაველიძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი უკრაინელებისთვის გენერატორების შესაძენად თანხას აგროვებენ მოქალაქეებიც. შესაბამისად, რამდენიმე ასეული გენერატორი უკრაინაში დეკემბრის შუა რიცხვებში უნდა გაიგზავნოს. ამ მიზნით, კამპანია „გააზიარე სინათლე“ სოციალურ ქსელში 27 ნოემბრიდან დაიწყო. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ დაგეგმილი იყო 100 გენერატორის შეძენა, თუმცა კამპანიაში ჩართვის მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, გენერატორების რაოდენობა 300-მდეც ავიდეს. 7 დეკემბრის მონაცემებით, კამპანიაში უკვე ჩაერთო 1200-ზე მეტი მოქალაქე თუ ორგანიზაცია და ამ ეტაპზე, 100 ათას ლარზე მეტია შეგროვებული.

> ***„ომის დაწყების დღიდან, საქართველოს მთავრობა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში არასოდეს აკლებდა ყურადღებას ჩვენს უკრაინელ მეგობრებს, უკრაინის მოსახლეობას და მაქსიმალურად ცდილობდა, ყველანაირად დახმარებოდა მათ. ამის დასტურია ის, რომ საქართველო პირველ ადგილზე რჩება იმ ქვეყნებს შორის, ვინც ჰუმანიტარული დახმარება გაუწია ამ სახელმწიფოს. მინდა აუცილებლად აღვნიშნო ის მხარდაჭერა, რომელსაც სახელმწიფო დღეს აგრძელებს***

უცხოეთი

ფინეთი და შვედეთი მზად არიან ნატოს წევრობისთვის, - ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ფინეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. „მათი სამხედროები აშშ-ისა და ნატოს სამხედროებთან ერთად სამსახურს გადიოდნენ კოსოვოში, ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში. ისინი ნატოს პროგრამების „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ და „გაფართოებული შესაძლებლობების პარტნიორობა“ წევრები არიან. მარტივად რომ ვთქვათ, მათ არმიას თითქმის შეუფერხებელი ურთიერთქმედება აქვს ალიანსის ძალებთან“, - განაცხადა ბლინკენმა. სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ფინეთი და შვედეთი ნატოსთან საერთო ფასეულობებს იზიარებენ - დემოკრატიისადმი ურყევ ერთგულებას, წესებზე დამყარებულ საერთაშორისო წესრიგს, ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვას.

* * *

რეჯეფ თაიფ ერდოღანი უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებთან, ვოლოდიმირ ზელენსკისა და ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბარს გეგმავს. თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები სასურსათო კრიზისის თემას შეეხება. „კრიტიკული პროდუქტების მიწოდების შეწყვეტამ გლობალური სასურსათო კრიზისი გამოიწვია. კვირას მე მექნება საუბარი პუტინთან. ასევე მექნება საუბარი ზელენსკისთან“, - აღნიშნა ერდოღანმა.

* * *

უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინის ელექტროენერგიის კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაახლოებით 50% უფრო მეტად დაზიანდა, ხოლო ნაწილი კი მთლიანად განადგურდა. თავის მხრივ, უკრაინის სახელმწიფო ენერგეტიკული მიმწოდებელი „უკრენერგო“ ამტკიცებს, რომ სიტუაცია „რჩება მძიმე, თუმცა კონტროლს ექვემდებარება“. ამასთან, კომპანიამ განაცხადა, რომ ყველა თბო და ჰიდროელექტროსადგური ნაწილობრივ დაზიანებულია, ასევე, ოკუპირებული ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური არ აწვდის ელექტროენერგიას ქსელს.

* * *

აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა მარკ მილიმ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომი უკვე 10 თვე გრძელდება და ვლადიმირ პუტინმა უკრაინაში ყველა მიმართულებით მარცხი განიცადა. მისი თქმით, „უკრაინელი სამხედროები არ არიან დამოკიდებული ამ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე სამხედრო ოპერაციების ჩატარებისას. ეს დარტყმები ზრდის უკრაინელი ხალხის გამძლეობისა და წინააღმდეგობის გაწევის დონეს“.

* * *

მოსკოვში ერთ-ერთ საავჭრო ცენტრში ხანძარი გაჩნდა. რუსული მედიის ინფორმაციით, ცეცხლი 18 000 კვ.მ-ზეა გავრცელებული. ადგილზე მუშაობენ მეხანძრე-მაშველები. ადგილობრივი მედია იუწყება, რომ საავჭრო ცენტრში ცეცხლი საღებავის ავზებს და აეროზოლებს გაუჩნდა, რამაც აფეთქება და ნგრევა გამოიწვია.

გვერდი მოამზადა
ია შველიძემ

ალიარებული კომპოზიტორის სამასზე მეტი სიმღერა, მათ შორის ბათუმზეც, რომლებიც შემსრულებელს ელის

ცნობილ კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის რევიუს (ვაჟა-ფშაველას „სათაგურის“ მიხედვით) ვარიაციის გაცოცხლება ბათუმის წლევანდელი საყმაწვილო სასკოლო დასების თეატრალურ ფესტივალ „პირველი ავტოგრაფის“ ერთ-ერთი პლუსი და ღირსშესანიშნობა იყო. ეს კეთილგანწყობილი და თავმდაბალი დიდი შემოქმედი თავადაც დაესწრო ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის დასის ამ მუსიკალურ სპექტაკლს

იმასთან ერთად, რომ მუსიკალური წარმოდგენა „სათაგური“ საკმაოდ სასიამოვნო საყურებელ-მოსასმენი იყო, გვახარებდა ის ფაქტიც, რომ თავად კომპოზიტორიც აღფრთოვანებული გახლდათ ნორჩი შემსრულებლებითა და სპექტაკლის რეჟისურით (დამდგმელი რეჟისორი - მარინა ბურდული). როგორც მასთან საუბრისას გავიგეთ, მისი ნაწარმოების ფესტივალზე გაცოცხლებას ბათუმელ მუსიკოსსა და ცნობილ მოღვაწე თამაზ ნიკოლაიშვილს უნდა ვუმადლოდეთ. სწორედ მისი იდეა გახლდათ ვაჟა დურგლიშვილის რევიუს საფესტივალო რეპერტუარში ჩასმა. იდეამ არაერთი თვალსაზრისით გაამართლა. პირველ რიგში, იმით, რომ ბათუმელმა მაყურებელმა, მართალია, არასრულად, მაგრამ მაინც ნახა და მოისმინა ჩინებული მუსიკალური ნაწარმოები. ამასთან, ბავშვები ნამდვილი ხელოვნების ნიმუშს ეზიარნენ, ხოლო კომპოზიტორის ნამუშევარს ახალი სიცოცხლე მიანიჭეს.

რა თქმა უნდა, ამ ცნობილ კომპოზიტორთან და ფესტივალის საპატიო სტუმართან საუბრის შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვით.

- ბატონო ვაჟა, გვახარებს თქვენი ბათუმში სტუმრობა და ამ შესანიშნავი ნაწარმოების ფესტივალზე გაჟღერება. გვიამბეთ მისი დაბადებისა და სიცოცხლის ისტორია.

- წინა საუკუნის 80-იან წლებში, თბილისის პიონერთა სასახლეში მუშაობისას, დირექტორმა მთხოვა, ხელი მომეკიდა ამ საბავშვო ნაწარმოებისთვის. მართლაც, დავიწყე მუშაობა და იმდენად გამიტაცა ამ საქმემ, რომ დაახლოებით ორ კვირაში პირველი და მეორე სურათები დაწერილი მქონდა. საბოლოოდ ოთხ სურათად გავაკეთე. სპექტაკლი აჩვენეს თბილისის ოპერისა და ბალეტის, ასევე, მუსკომედიის თეატრებში, მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიითაც გადაიცა, შემდეგ კი დღემდე მხოლოდ ერთხელ - წეროვანში დაიდგა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით. იქაც ერთჯერადი იყო. მეცოდებოდა ეს ნამუშევარი, გულით მინდოდა, გაეცოცხლებინათ და, აი, ძალიან საინტერესო გამოვიდა ბათუმური სპექტაკლი. კი ველოდი, რომ კარგი იქნებოდა, მაგრამ თუ ასეთი შთამბეჭდავი გამოვიდოდა, ვერ წარმოვიდგენდი. ჩინებული დასი, შესანიშნავი რეჟისურა ვნახე. ამ სკოლის დირექტორიც (მარიზა აბაშიძე) ძალიან მომეწონა, რადგან მისი ხელშეწყობის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ნამდვილად განმაცვიფრა ნანახმა, მანამდე რეპეტიციასაც დავესწარი, მაგრამ პრემიერა ბევრად უკეთესი იყო.

- რამდენად სრულად მოახერხეს მთელი რევიუს გაცოცხლება?

- რა თქმა უნდა, ძალიან შემოკლებული იყო და ეს რა გასაკვირია. საერთოდ, ორსაათიანია ჩემი ნამუშევარი, საფესტივალო წარმოდგენა კი საათზე ბევრად ნაკლებ ხანს გრძელდება. წარმოიდგინეთ, რამდენად შემოკლდა, მაგრამ ისეთი კარგი განწყობა შექმნა, ვერ გამოვდივარ შთაბეჭდილებებიდან. ასეთი პროექტები თუ გაკეთდა, ბევრი საინტერესო ნაწარმოები გაცოცხლდება. მეც უამრავი მასალა მაქვს, საბავშვოც და ზრდასრულებისთვისაც.

- ზოგადად, „პირველი ავტოგრაფის“ შესახებ გვითხარით თქვენი აზრი?

- ასეთი ფესტივალები აუცილებელია. ჩინებულადაა ორგანიზებული და დიდ საქმეს ემსახურება, მათ შორის, მობილიზაციას უკეთებს ყველა მონაწილეს, მათ შესაძლებლობებს. ბავშვობაში მსგავსი სპექტაკლების დადგმისას განცდილი ბედნიერება, გამოცდილება უკვალოდ არ ქრება და, აი, ამ მოზარდებსაც რომ ვუყურებდი, ვხედავდი, რომ მათ შიგნით რაღაც დუღდა.

- საქართველო გიცნობთ, როგორც წარმატებულ კომპოზიტორს. ახლა რა ხდება თქვენს შემოქმედებაში?

- მე გამოცემული მაქვს 12 მუსიკალური კრებული, საფორტეპიანო პიესები - ცალკე, ასევე - შერეული კამერული და საგუნდო ნაწარმოებები, ასსიმღერიანი კრებული, რომელიც ჩემი პოპულარული (ასრულებენ „ორერა“, თემურ წიკლაური, დუეტი „ჯორჯია“ და სხვა ცნობილი შემსრულებლები) სიმღერებისგან შედგება და 55-სიმღერიანი სულ ახალი საბავშვო კრებული. ამას გარდა, ვგეგმავ პატარ-პატარა მუსიკალური ზღაპრების შექმნას, ზღაპრის პერსონაჟების სასიმღერო პოპურის გაკეთებას. 203 საბავშვო სიმღერა მაქვს შექმნილი. ძირითადად, სიუჟეტური ხასიათისა, მაგალითად, ბებია და სათვალე, დაახლოებით სამწუთიანია და მასში გარკვეული ამბავია მოთხრობილი, ასეთ არაერთი მაქვს და კარგი იქნებოდა, რომ შეკრებილიყო და ანიმაციური ფილმი გაკეთებულიყო. სანახაობრივი იქნებოდა.

- და ბავშვებს თავს დაამახსოვრებდა, ალბათ, მოვა ამის დროც.

- ალბათ მაშინ, როცა მე აღარ ვიქნები.

- რომელმა ნაწარმოებმა მოგიტანათ პირველად პოპულარობა?

- ასეთია: „მაღლა მზეა და დაბლა დარია“, რომელსაც „ორერა“ მღეროდა, ასევე - „მამა სიზმარში გიხილე“, კიდევ - „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“ - თემურ წიკლაურის შესრულებით, ასევე - „მუხამბაზი“ - ონაშვილი მღეროდა.

- არის ისეთი სიმღერა, რომელზეც გული გწყდებათ, რადგან არ გაჟღერებულა და თავის შემსრულებელს ელოდება?

- უამრავი! ხუთასზე მეტი სიმღერა მაქვს, აქედან სამასი თავისი შემსრულებლის მოლოდინშია. დღეს კიდევ ერთი სირთულეა ამ გზაზე - ადრე არანჟირების გაკეთება კომპოზიტორს არ ეკისრებოდა, მისცემდი მომღერალს ნაწარმოებს და თვითონვე აკეთებდა, ახლა კომპოზიტორმა არანჟირებითურთ უნდა მიართვას მომღერალს.

- აი, მინდოდა ესეც მეკითხა: რა სირთულეები ახლავს სიმღერის გაცოცხლება-გაჟღერებას, შემსრულებელი სიმღერის მისაგნებად თქვენ გეკითხებათ, ხომ არ მომაწვდით რამე ახალსო, თუ თვითონ პოულობენ უკვე დაწერილს, მაგრამ ჯერაც გაუჟღერებელს?

- ზოგი, მაგალითად, არც გეკითხება, ისე იღებს ინტერნეტსივრცეიდან, ზოგი ამას არ აკეთებს, რადგან საავტორო უფლებების შესახებ იცის და ეშინია. არის შემთხვევები, როცა არა მარტო უნებართვოდ აიღეს, არამედ გადააკეთეს კიდეც თავის ჭკუაზე. ასე მოექცნენ ჩემს სიმღერას „მიჯნურობა ძნელია“, არც იცოდნენ, ჩემი რომ იყო და მიიწერეს. გავახმაურე ეს ამბავი და დააჯარიმეს ორი ათასი ლარით. ზოგი გეკითხება, ისე იღებს. აი, ლელა წურწუმიამ დამირეკა და მთხოვა „ენძელას“ („იებია თუ თოვლია“), თუ შეიძლება, ავიღებო, რა თქმა უნდა-მეთქი, ვუპასუხე. ეს სხვა ამბავია.

- გასაგებია, რომ არ ამადლით და აძლევთ სიმღერის შესრულების უფლებას, მაგრამ კომპოზიტორს ანაზღაურებას ვინ აძლევს, თუ არ ვცდები, უცხოეთში კომპოზიტორი თანხას იმდენჯერ იღებს, რამდენი მომღერალიც შეასრულებს მის ნაწარმოებს?

- უცხოეთს რაც შეეხება.., აი, ისრაელშიც სრულდება ჩემი სიმღერები, ორი ფირფიტაა იქ ჩემი სიმღერების გამოცემული, კი მომცეს გარკვეული თანხა, მაგრამ ჯერ ეს პრაქტიკა კარგად არ არის ჩამოყალიბებული. რახან ასე ღრმად შევიჭერით ამ საკითხში, იმასაც გეტყვით, რომ გული მწყდება, ძალიან სავალალო მდგომარეობაა ხელოვნებაში ჩვენთან - ყოველდღე ახალ-ახალ არანჟირებებს აკეთებენ ძველ, ერთსა და იმავე სიმღერებზე და ატრიალებენ. სიტყვას მოჰყვა და, მაგალითად, „ცოცხალი ვარ, ცოცხალი“ ამ სიმღერას ვიღაც ჯაზროკში უკრავს, ვიღაც - სხვა ჟანრში, ახალს არაფერს ასრულებენ.

- არადა, ამდენი სიმღერა ელოდება შემსრულებელს...

- უამრავი სიმღერაა ასეთი, მაგრამ არც ჩემთან დაურეკავთ ახალი სიმღერის მოსაკითხად და არც ბევრ სხვა კომპოზიტორთან.

- ანუ არ უჩნდებათ კითხვა, რომ შესაძლოა, არის ახალი, კარგი სიმღერა, რომელიც არავის უმღერია? ეს ხომ უფრო პრესტიჟულია, როცა პირველად ასრულებ რომელიმე ნაწარმოებს და მას შენი სახელი ერქმევა?!

- ჩემ დროს ასე იყო, ერთ ანსამბლს რომ მისცემდი სიმღერას, სხვებისთვის აღარ უნდა მიგეცა, თორემ დაისჯებოდი, დღეს კი ძველ სიმღერებს ითხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ახალი ნამუშევარი მაქვს, არავინ მოდის და მეკითხება, რას შევთავაზებ ახალს. რატომ არ მეკითხებიან? იმიტომ, რომ შემდეგ ისიც უნდა მკითხონ, რა ღირს ეს სიმღერა? საფასურია გადასახდელი. კი, ბატონო, გაჩუქებ ათს, ოცს...

- გასაგებია. ყველას სჭირდება შრომის ანაზღაურება. მახსოვს ასეთი შემთხვევა - პოპულარული მომღერალი ჩამოვიდა ბათუმში თბილისიდან, კონცერტზე უნდა ემღერა, მაგრამ დატოვა სავსე დარბაზი და ჩაშალა საღამო, რადგან ანაზღაურება წინასწარ არ დაახვედრეს. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, მაგრამ ასევე სჭირდება კომპოზიტორსაც თავისი გასამრჯელო.

> ***„ჩემ დროს ასე იყო, ერთ ანსამბლს რომ მისცემდი სიმღერას, სხვებისთვის აღარ უნდა მიგეცა, თორემ დაისჯებოდი, დღეს კი ძველ სიმღერებს ითხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ახალი ნამუშევარი მაქვს, არავინ მოდის და მეკითხება, რას შევთავაზებ ახალს. რატომ არ მეკითხებიან? იმიტომ, რომ შემდეგ ისიც უნდა მკითხონ, რა ღირს ეს სიმღერა? საფასურია გადასახდელი. კი, ბატონო, გაჩუქებ ათს, ოცს...***

- საქმეც ესაა. მომღერალი რესტორანშიც შედის სამღერად, კორპორაციულ საღამოზეც, სადაც, ბუნებრივია, ანაზღაურებას იღებს, შენ კი ძველ სიმღერას გთხოვს...

- ...რაშიც ფულის გადახდას არ ივალებს, ანუ ძველ სიმღერაში თანხის გადახდა არ ეგების?

- აი, ასე გამოდის, არ უნდა გადაიხადოს. ერთმა მომღერალმა ისიც მითხრა, იმ სიმღერის არანჟირება, რომელსაც მაძლევთ, თავად უნდა გააკეთოთ, ახლა ასეთი წესიაო. მერე თქვენვე უნდა ჩაწეროთ სტუდიაშიო. ხუთასი სიმღერა მაქვს შექმნილი, წარმოიდგინეთ, თითოეულ მომღერალს რომ გავუორკესტრო ისინი (ერთი 500 დოლარზე მეტი ჯდება), რამდენის გადახდა მომიწევს?!

- და რას გადაიხდიან ასეთ მზა სიმღერაში?

- არაფერს, მე უნდა გადავუხადო და მადლობაც ვუთხრა, რომ ისინი გამოვლენ ტელევიზიით. აღარ ვარ იმ ასაკის, რომ მახარებდეს თითოეული ასეთი ფაქტი. ადრე მიხარიოდა, როცა ახალგაზრდა ვიყავი. ახლა ძალიან ბევრი სიმღერა დამიგროვდა. ანსამბლი არ არის დარჩენილი, ჩემი სიმღერა არ შეესრულებინოს. 1968 წლიდან ვწერ მუსიკას. ვარსკვლავიც გამიხსნეს. ჩემი შემოქმედებითი საღამოებიც ხშირად იმართება. მალე სამოცდათხუთმეტი წლის გავხდები...

-კიდევ ერთი იუბილეს მიზეზია.

- საქართველოს კულტურის სამინისტრო აპირებს, დააფინანსოს ეს საღამო, აქ ჩემი საბალეტო ნაწარმოებიც გაჟღერდება. მოკლედ, ყველაფერს მოვედე (იღიმება).

- ბათუმზეც გაქვთ შექმნილი სიმღერები.

- სამი სიმღერა დავწერე ბათუმზე. ახალი სიმღერაც მაქვს - მეოთხე, ძალიან გიჟური რამეა (წაიმღერა)...

- პირველად ანსამბლმა „ბათუმმა“ რომ შეასრულოს, ძალიან კარგი იქნება და თუ ამ სიმღერის პრემიერა სწორედ ჩვენს ქალაქში გამართულ თქვენს შემოქმედებით საღამოზე იქნება, მართლაც, დიდი შთაბეჭდილების ქვეშ დავრჩებით ბათუმელებიც და სრულიად საქართველოც.

მარინა მითაიშვილი

აქ ქართული სული ხმიანობს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„ქართული ენის ცენტრი“ სტამბოლში უკვე რვა წელია, წარმატებული, ნაყოფიერი საქმიანობით გამოირჩევა. საყურადღებოა ცენტრის ინოვაციური პროექტები კულტურის სფეროში. ამ ცენტრის დამფუძნებელი გახლავთ თურქეთში მცხოვრები ჩვენებური - იშრეფ ილმაზი (გოდერძი მახარაძე), მისი მოადგილე კი ემიგრანტი ქალბატონი, პოეტი ***ეკა ნადირაშვილია****, რომელსაც ახლახან წლის წარმატებული ხელოვანის წოდება მიენიჭა და გადაეცა დიპლომი. ქალბატონ ეკასა და მის თანამოსაქმეებს სამართლიანად მიიჩნევენ ქართული კულტურის დესპანებად თურქეთში. სწორედ მათ გამორჩეულ საქმიანობაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ იგი ჩვენს რუბრიკაში*

- ქალბატონო ეკა, თქვენს არაერთ ჯილდოს კიდევ ერთი დიპლომი დაემატა – „წლის ლიდერი და წარმატებული პერსონა“. გილოცავთ! ეს აღიარებაა, გვიამბეთ ამის თაობაზე.

- მივესალმები თქვენს მკითხველს და მოვიკითხავ დიდი პატივისცემით. თვალყურს ვადევნებ თქვენს გაზეთს, საკმაოდ საინტერესო მასალას აწვდით მკითხველს. რაც შეეხება ჩემს ჯილდოებს, ახლა გაგაცნობთ: გავხდი 2021 წლის „პერსონა“, ხოლო შემდეგ 2022 წლის „პერსონის“ ბორდის წევრად ამირჩიეს... ამ დიდებული პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი გახლავთ ბატონი სოსო კავკავაშვილი. ეს დიდი პატივი იყო ჩემთვის. რა თქმა უნდა, ბედნიერი ხარ, როდესაც შენი ქვეყანა ხედავს უცხო ქვეყანაში შენს ღვაწლს. ასევე, ეს ჯილდო უფრო მეტს მავალებს და სტიმულია, რომ უფრო მეტი გავაკეთო ჩემი ქვეყნისთვის. ახლახან გადმომეცა დიპლომი და ჯილდო საღამოზე, სადაც როგორც თურქეთიდან, ისევე სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული იყვნენ პოეტები და წარმატებული ხელოვანი ადამიანები. „მასმედია - წლის წარმატებული ხელოვანი ადამიანების დაჯილდოება“ - აქ ასეთი ორგანიზაციაა, რომელიც ყოველ წელს გამოავლენს როგორც თურქ, ასევე სხვა ეროვნების წარმატებულ წარმომადგენლებს. ამ პროექტის ხელმძღვანელი გახლავთ ბატონი გუნდუზი.

- ქართული ენის ცენტრი სტამბოლში, რომლის დირექტორის მოადგილე ხართ, წლების მანძილზე კულტურის სფეროში მრავალ ინოვაციურ პროექტს ახორციელებს. ამ პროექტებიდან რომელს გამოარჩევდით მნიშვნელობით და მასშტაბურობით?

- დიახ, უკვე ოთხი წელია გახლავართ „ქართული ენის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე. ამ პერიოდის განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები და საღამოები განხორციელდა „ქართული ენის ცენტრში“. არაერთი ცნობილი პოეტი და გამორჩეული მოღვაწე მოვიწვიეთ და ულამაზესი საღამოებიც ვაჩუქეთ სტამბოლში მცხოვრებ საქართველოსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებს. კონკრეტულად არ გამოვყოფ, ვინმეს გული არ ეტკინოს. ერთმანეთზე საინტერესო საღამოები იყო - საქართველოზე, ქართულ ენაზე, ჩვენს დიდ კულტურულ, ისტორიულ წარსულზე გაჯერებული. საინტერესო საუბრებით, სამომავალო გეგმებით. ამ ორი კვირის წინ, პოეტ ნათია ჯიმშელეიშვილის წიგნის პრეზენტაცია გავმართეთ. საღამო მუსიკალური ნომრით გაგვილამაზა სტუმარმა მუსიკოსმა ბატონმა გაგა შოთაძემ. დაგეგმილი გვაქვს იმ ემიგრანტ ქალბატონებთან შეხვედრა, ვინც ემიგრანტულ მძიმე ყოფასთან ერთად ეწევიან შემოქმედებით ცხოვრებას, წერს, მაგალითად, ზოგი რამდენიმე წიგნის ავტორია, ზოგი მხატვარია, ზოგიც - მუსიკოსი. ჩვენ მათ ულამაზეს ღონისძიებას მოვუწყობთ.

- საინტერესოა თვით ცენტრის შექმნის ისტორია. როგორც ვიცით, მისი დამფუძნებელია თურქეთში მცხოვრები ჩვენებური ეშრეფ ილმაზი (გოდერძი მახარაძე), პოეტი, მთარგმნელი... გაგვაცანით ეს კეთილმოქმედი პიროვნება...

- რვა წლის წინათ, სანამ ეშრეფ ილმაზი „ქართული ენის ცენტრს“ დააარსებდა, მანამდე „ქართული კულტურის ცენტრს“ ხელმძღვანელობდა, რომელიც რამდენიმე ჩვენებურის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიქმნა. „ქართული ენის ცენტრში“ მისვლისას დაგხვდებათ ქართული სული, ქართული ბიბლიოთეკა, ქართველი კლასიკოსების ფოტოებით გადაჭედილი კედელი. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ყურადღებას განსაკუთრებით იმსახურებს და მიიპყრობს, ბატონი გოდერძის ქართული სტუმართმოყვარეობაა. იგი გახლავთ პოეტი, მთარგმნელი, პროფესიით თურქოლოგია, ასევე მუშაობდა სტამბოლის სახელმწიფო ორ უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ლექტორად, ლექციებს კითხულობდა ქართულ ენაზე. მას უყვარს თავისი დედასამშობლო საქართველო და ქართველები. ძალიან ბევრი გააკეთა და აკეთებს, რომ ქართული კულტურა არ მიეცეს დავიწყებას უცხო მიწაზე, რომ ქართული კულტურა გააცნოს მეგობარ თურქებს. ჩვენ ერთად ვხელმძღვანელობთ ამა თუ იმ ღონისძიებას და გვაქვს საინტერესო გეგმები. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა ქართველის სახელით, მადლობას ვუხდი შეუფასებელი ღვაწლისთვის, რასაც ეწევა წლების განმავლობაში.

> ***„ჩვენ თვეში ერთხელ ვგეგმავთ ამა თუ იმ საღამოს. ვაპირებთ, რომ სტამბოლში ქართველი ემიგრანტი პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები მოვიწვიოთ და დაუვიწყარი შემოქმედებითი საღამო ვაჩუქოთ ერთმანეთს, ეს როგორც წყალი და ჰაერი ისე გვჭირდება დღეს ყველა ემიგრანტს. იანვრისთვის გრანდიოზული საღამოა დაგეგმილი“***

- ენის ცენტრში თქვენთან ერთად გულმოდგინედ მუშაობენ ადამიანები, რომლებიც მხარში გიდგანან, დაასახელეთ და დაახასიათეთ ისინი.

- ერუდირებული ადამიანებითაა დაკომპლექტებული „ქართული ენის ცენტრი“, სათითაოდ არ ჩამოვთვლი, რომელიმე რომ არ გამომრჩეს. ყველას მადლობა მინდა გადავუხადო გვერდით დგომისათვის, აი ფოტორეპორტიორი კი უნდა წარმოვაჩინო, რადგან ის ჩვენს საღამოებზე უკარგეს კადრებს იღებს და გვაწვდის, ჩვენებური ქართველია. მოკლედ, ყველა გვერდით გვიდგას. ,,ქართული ენის ცენტრის“ ყველა წევრი, პირველ რიგში, საუკეთესო მსმენელია.

- ქართული კულტურის დესპანები თურქეთში - ასე უწოდებთ იმ ჩვენებურებს, ქართული სულისკვეთებითა და საქმიანობით რომ გამოირჩევიან და პერიოდულად აცნობთ საზოგადოებას, მოდით, ახლა გამოარჩიეთ რამდენიმე და მათ შესახებ მოუთხრეთ ჩვენს მკითხველს.

- დიახ, მე დავიწყე ახალი პროექტი, ვწერ თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე, ანუ ჩვენებურებზე, რომლებსაც ვუწოდებ ქართული კულტურის დესპანებს უცხო მიწაზე. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ქართული კულტურა, ისტორია არ მიეცეს დავიწყებას. რამდენიმე მათგანს პირადად ვესტუმრე, განმაცვიფრა მათმა დიდებულმა მასპინძლობამ, რაც მათ გენეტიკურ ქართველობაზე მეტყველებს. ვისზეც დავწერე, ახლა გაგაცნობთ, ესენი არიან ეშრეფ ილმაზი, ქალბატონი ჰასიბე ოზქანი „ბორჩას“ ასოციაციის ხელმძღვანელი, ბატონი მუსტაფა იელქინჯი (გიორგი დიასამიძე) „მეგობრობის ასოციაციის“ თავმჯდომარე, ბატონი მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი). სულ ახლახან მასზე, როგორც დიდ ჩვენებურზე, წიგნიც დაიწერა, ასევე, უღურ ზუბოღლუზეც დავწერე, რომელსაც ქართული კაფე აქვს სტამბოლის შუაგულში გახსნილი. კიდევ ბევრია გამორჩეული და ეტაპობრივად დავწერ მათ ბიოგრაფიას და გამოვაქვეყნებ. მეამაყება ეს ადამიანები, მათ შემოინახეს ქართველობა უცხო მიწაზე და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ თავის მომავალს გადასცენ ტრადიციები, რათა გაგრძელდეს ქართული კულტურა.

- პოეზია გიტაცებთ, თავადაც წერთ ლექსებს, აქვეყნებთ, სიყვარულით გეხმიანებიან მკითხველები, რას ეტყოდით მათ?

- მე ემიგრაციაში დავიწყე ლექსების წერა და ჩემი ლექსები არაერთ ჟურნალ-გაზეთსა თუ ანთოლოგიაშია დაბეჭდილი, რაც მეტად მახარებს და სტიმულს მაძლევს. განსაკუთრებით მახარებს, რომ ჩემი ლექსები კომპოზიტორების და მუსიკოსების შთაგონების წყარო გახდა. ახლა ჩემი ლექსების კრებულის დაბადებას ველი, როგორც ყველა შემოქმედი. იგი სტამბოლში დაიბეჭდება და წიგნის პრეზენტაციასაც აქ ვაპირებ, შემდეგ, ალბათ საქართველოში.

- უახლოეს პერიოდში რა სახის კულტურული ღონისძიებები გაიმართება, მონაწილეები ვინ იქნებიან?

- „ქართული ენის ცენტრი“ ამჟამად პროექტზე „ემგრანტების ტკივილები“ მუშაობს. თანაავტორობით დაიბეჭდება წიგნი, რომელშიც მხოლოდ მსოფლიოს ყველა კუთხეში მიმოფანტული ქართველი პოეტები და მწერლები გამოაქვეყნებენ თავიანთ „ნაწარმოებებს. მუშაობა უკვე დასასრულს უახლოვდება და ამ წიგნს „ქართული ენის ცენტრი“ საკუთარი თანხებით ბეჭდავს. სულ მალე მისი პრეზენტაცია გაიმართება სტამბოლში. ზოგადად, ჩვენ თვეში ერთხელ ვგეგმავთ ამა თუ იმ საღამოს. ვაპირებთ, რომ სტამბოლში ქართველი ემიგრანტი პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები მოვიწვიოთ და დაუვიწყარი შემოქმედებითი საღამო ვაჩუქოთ ერთმანეთს, ეს როგორც წყალი და ჰაერი ისე გვჭირდება დღეს ყველა ემიგრანტს. იანვრისთვის გრანდიოზული საღამოა დაგეგმილი.

- თქვენი ცენტრი საქართველოდან ჩამოსული არაერთი ცნობილი პიროვნების გულითადი მასპინძელია... ვინ იყვნენ და არიან ისინი, ვის გამოარჩევდით მათში და რით იყო მნიშვნელოვანი ეს შეხვედრები?

- საქართველოდან ჩამოსული პოეტი ნათია ჯიმშელეიშვილის წიგნის პრეზენტაცია გვქონდა სულ ახლახან, რომელიც მუსიკალურად გააფორმა მუსიკოსმა, იტალიოლოგმა, ბატონმა ზაზა შოთაძემ. ულამაზესი საღამო იყო და ყველა კმაყოფილი დარჩა. ასევე „ქართული ენის ცენტრმა“ ამასწინათ უმასპინძლა მეცნიერთა და პოეტთა ჯგუფს, ერეკლე საღლიანი დარჩა კიდეც ჩვენთან. ეს ლამაზი ღონისძიება მოვაწყვეთ ჩვენივე წევრთან, პიანისტ ნელი აფციაურთან ერთად. სამომავლო გეგმებიც დაისახა.

- როგორც აკადემია „გვირილას“ ოფიციალურ წარმომადგენელს თურქეთში, დიდი წვლილი შეგაქვთ ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის გაღრმავებაში... ესეც საინტერესოა ჩვენი მკითხველისათვის...

- დიახ, გახლავართ სტამბოლში აკადემია „გვირილას“ და ასოციაციის „საქართველოს წარმატებული ქალბატონები“ წარმომადგენელი, ასევე, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის სრულუფლებიანი წევრი. ეს ყოველივე მავალებს, რაც შეიძლება მეტი გავაკეთო ქართული კულტურისთვის უცხო მიწაზე. „გვირილას“ აკადემია 30 წელია, რაც არსებობს. საკმაოდ ცნობილი და რეიტინგული აკადემიაა საქართველოში, მისი ხელმძღვანელია ქალბატონი ერნა წიფურია. ქართული კულტურის დღეები - ასეთი ფორმულირებით ჩავატარებთ სტამბოლში გრანდიოზულ ღონისძიებას მომავალი წლის იანვარში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ვიმედოვნებ, რომ ერთობლივი ძალებით სრული ანშლაგით გაიმართება.

- თურმე სტამბოლში ეთნიკური ქართველები სამეწარმეო საქმიანობაშიც კი ქართულ კვალს აღბეჭდავენ... მათ ჩვენც სიამოვნებით გავეცნობოდით.

- ეთნიკურ ქართველ უღურ ზუბოღლუს შუაგულ სტამბოლში აქვს გახსნილი ქართული კაფე, სადაც ამზადებენ ქართულ კერძებს, ასევე აჭარულ ხაჭაპურს, ხინკალს, იმერულ ხაჭაპურს და ქართულ ლიმონათს, ბორჯომსაც მოგართმევენ. ეს პიროვნება სულით ხორცამდე ქართველია და ყველაფერს აკეთებს, რომ ქართული სამზარეულო, კულტურა თურქ ხალხს გააცნოს.

- სტამბოლში უკვე წლებია ცხოვრობთ და მოღვაწეობთ. ახლა საქართველოში ცხოვრება გაიხსენეთ... გაგვაცანით თქვენი ოჯახი, უახლოესი ადამიანები.

- მე სურამელი ვარ, არაჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, უზრუნველი... გავიზარდე ქართულ ტრადიციულ ოჯახში, მადლობა ჩემს მშობლებს ამისთვის. ადამიანური თვისებები ჩემი მშობლებისგან მომდგას. მუსიკალური ოჯახიდან გახლავართ, ბებია არაჩვეულებრივად უკრავდა გიტარაზე და მღეროდა, შვილებს - მამაჩემს და ორ ბიძას მუსიკისადმი სიყვარული მისგან გამოჰყვათ. ხელოვნებისადმი სიყვარული ოჯახიდან მომყვება, ვუკრავ გიტარაზე, ბავშვობიდანვე მიყვარდა პოეზია, მრავალი კლასიკოსის ლექსები ვიცოდი ზეპირად. სამი შვილი ვყავდით მშობლებს, ბედნიერად ვიზრდებოდით. დავამთავრე სურამის მეორე საშუალო სკოლა, შემდეგ ჩავაბარე ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, დავამთავრე ისტორიის ფაკულტეტი. მყავს ორი შვილი, რუსუდანი და ალეკო, ორივე დაოჯახებულია, ორი შვილიშვილით ვარ მდიდარი - დანით და სანით, რომლებიც სიცოცხლეს მიხანგრძლივებენ. ჩემი ემიგრაციაში წამოსვლა განაპირობა საყვარელი მამის 50 წლის ასაკში ავტოკატასტროფით გარდაცვალებამ. აგერ უკვე თხუთმეტი წელია, ემიგრანტი ვარ, ემიგრაციაში დავიწყე ლექსების წერა, შვილების, ქვეყნის მონატრებამ განმაწყო საამისოდ. ლექსები - ესაა ჩემი სულის, გულის ამოძახილი.

- ახალი წელი ახლოვდება, საახალწლო სურვილების კალათაში რას ჩააწყობდით და გამოუგზავნიდით თანამემამულეებს?

- მოვიკითხავ ჩემს საყვარელ სამშობლოს დიდი სიყვარულით, დამდეგი შობა-ახალი წელი სიყვარულის, სიმშვიდის, სიხარულის წელი ყოფილიყოს ყველასათვის. დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ერთმანეთის სიყვარული, მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს. დაე, 2023 წელს მთელი მსოფლიოსთვის მოეტანოს მშვიდობა. მინდა დადგეს ის დრო, როცა არცერთი ემიგრანტი აღარ ეყოლება ჩემს ქვეყანას. გულითადი მოკითხვა ჩემს თანამემამულეებს, ჩემს თანამოდარდეებს და თანამოაზრეებს, უნდა გავძლიერდეთ საკუთარი თავისთვის, ერთმანეთისთვის, ქვეყნისთვის!

საქართველოს გვერდის ავლით...

სააგენტო Reuters-ის მიერ ინდუსტრიის წყაროებზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-მა თავისი თურქული გადამამუშავებელი ქარხნისთვის რუსული ნედლი ნავთობის შესყიდვები შეაჩერა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთის სანქციები ევროპისა და შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთაც ამოქმედდა. როგორც ცნობილია, რუსული ნავთობის საზღვაო იმპორტზე ევროკავშირის ემბარგო 5 დეკემბრიდან შევიდა ძალაში, რაც კრძალავს ევროკავშირის სერვისებს იმ ნავთობის ტრანსპორტირებაზე, რომელიც G7-ის მიერ დაწესებულ ზღვრულ ფასზე, ანუ ბარელზე 60 დოლარზე მეტად არის შესყიდული.

Reuters-ის ცნობით, თებერვლის ბოლოდან, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, თურქულმა ქარხნებმა რუსული ნედლი ნავთობის შესყიდვები გაზარდეს. მათ შორის იყო SOCAR-ის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა STAR, რომლის დღიური საწარმოო სიმძლავრე 214 000 ბარელი ნავთობია. ეს რუსი მწარმოებლებისთვის, თურქეთის გეოგრაფიული სიახლოვის გამო, აზიურ ქვეყნებთან ვაჭრობაზე უფრო მომგებიანი იყო.

მართალია, თურქეთი ფასის ლიმიტის შეთანხმებას არ შეუერთდა და რუსულ კომპანიებს კვლავაც შეუძლიათ, ქვეყანას ნავთობი შეზღუდვის გარეშე მიჰყიდონ, მაგრამ, Refinitiv Eikon-ის მონაცემებით, გასულ თვეში რუსული ნაკადები თურქეთში ყველაზე მეტად დაეცა. კერძოდ, რუსეთის ძირითადი საექსპორტო ნავთობის - Urals-ის მიწოდება ნოემბერში დღეში 170 ათას ბარელს შეადგენდა, მაშინ, როცა აგვისტოდან ოქტომბრის თვეებში დღიური მიწოდება 300 ათას ბარელი იყო. STAR-ის გადამამუშავებელი ქარხანა ნოემბერში დღეში მხოლოდ 73 ათას ბარელ რუსულ ნავთობს იღებდა, მაშინ, როცა წინა სამ თვეში მისი დღიური მიწოდება 170 ათას ბარელ ნავთობს შეადგენდა. ამასთან, ქარხანა STAR-ს ბოლო ნაკადი 20 ნოემბერს გაეგზავნა.

Reuters-ის განცხადებით, SOCAR-ი უფრო დასავლური სანქციების დაცვისკენ იხრება.

თურქული ქარხანა STAR-ისთვის ნედლი ნავთობის მიწოდებას SOCAR-ის ჟენევის საგაჭრო ფილიალი ოპერირებს.

ახლახან Reuters-მა ოთხ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსული „ლუკოილი“ დასავლეთის სანქციების გამო დეკემბრიდან კასპიის ნავთობის საბადოებიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ექსპორტს შეწყვეტს და მას კასპიის მილსადენის კონსორციუმის (CPC) სისტემაზე გადაიტანს. აღნიშნული გადაწყვეტილება მილსადენის აქციონერების მხრიდან მომდინარეობს.

ამირან გურიელიძე

„ბათუმის“ გარდა, თავი სხვა ანსამბლში ვერ წარმოიდგენია...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ვოკალურ ანსამბლ „ბათუმის“ სოლისტ ***პაატა ჯურკვეიძეს*** *ამ დღეებში ბათუმის ხელოვნების სახლში სალონურ საღამოს უმართავენ. იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია*

- ბატონო პაატა, შუახევის მუნიციპალიტეტის მთისპირა სოფელი წაბლანაა თქვენი ადგილის დედა. ადგილობრივმა ფოლკლორმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა რა როლი შეასრულეს თქვენს ხელოვანად ჩამოყალიბებაში?

- პირველ რიგში, მივესალმები თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, დიდი პატივია, დღეს თქვენი გაზეთის რესპონდენტი ვიყო. რაც შეეხება ჩემს წაბლანას, ბავშვობის დაუვიწყარი წლები იქ გავატარე და, რა თქმა უნდა, სოფელმა დიდი როლი ითამაშა როგორც პიროვნულ, ასევე შემოქმედებითი თვალსაზრისით ჩემს ჩამოყალიბებაში. ფოლკლორი და ქართული სიმღერა, საქართველოს ყველა კუთხეში ქართველი კაცის ცხოვრების წესი იყო, არის და იქნება. არც ჩემი სოფელია ამ მხრივ გამონაკლისი. წაბლანაში ყველა მღერის მიუხედავად იმისა, ემღერება თუ არა. ბედნიერი ვარ, რომ ბოლომდე შევინარჩუნე და ვემსახურები იმ დიდებულ საქმეს, რაც სოფელმა მასწავლა, მინდა ჩემი შეგნებული ცხოვრება ამ ღირებულებებით ვიცხოვრო.

- თქვენი დიდი პაპა ხუსეინ ზოიძე ცნობილი ხელოვანი იყო. მისი ილეთები ხომ არ გაგიცოცხლებიათ?

- მადლობა ამ შეკითხვისთვის. თბილისში გამართულ საოჯახო ფესტივალზე „ბანი“, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა, მეორე ადგილის მფლობელები გავხდით. აღსანიშნავია, რომ ამ დიდებული ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ ქართული სიმღერის კორიფეები ანზორ ერქომაიშვილი, გომარ სიხარულიძე და ჯემალ ჭკუასელი.

- სოფლის ანსამბლის წევრი და სოლისტი იყო მამათქვენი აკაკი ჯურკვეიძე. მამის გენი უფრო მეტია თქვენში თუ დედის?

- ჩემთვის უდიდესი სიამაყეა, რომ ვარ ღირსეული მშობლების შვილი. რა თქმა უნდა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც თანაბრად მომდევს ორივე მშობლის გენი და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. მადლობა უფალს, რომ წილად მხვდა ჩემთვის ძვირფასი ადამიანების ტრადიციების გაგრძელების შესაძლებლობა.

- ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში დატოვეთ სოფელი. ეს თქვენი სურვილი იყო?

- სკოლა 90-იან წლებში დავამთავრე. უპერსპექტივობის და უიმედობის უმძიმესმა პერიოდმა ჩვენი თაობის ახალგაზრდობაზე მძიმე კვალი დატოვა. პირად სურვილთან ერთად იყო მშობლების მორალური მხარდაჭერა, რამაც გარდამტეხი როლი ითამაშა ჩემს მომავალ წარმატებებში. დაუვიწყარია ნათესავებისა და მეგობრების მხარდაჭერა. ბიძების რეზო და ალიოშა ჯურკვეიძეების თანადგომა. მათ ჩემს წარმატებებში დიდი როლი მიუძღვით.

„ანსამბლ „ბათუმს“ უკვე 30-წლიანი შემოქმედებითი ისტორია აქვს. ამ ისტორიას გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ქმნიდნენ და ქმნიან. თითოეული მათგანი ქართული სიმღერის დიდოსტატია. ბუნებრივია, ასეთ ხელოვანებთან მუშაობა უდიდესი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. ერთი დიდი სიამოვნება და პატივია მათთან ერთად სცენაზე გამოსვლა. აქედან გამომდინარე, ჩემი მთელი ცხოვრება ანსამბლ „ბათუმს“ უკავშირდება

ხუსეინ ზოიძე კარგი ხელოვანი, აჭარული ფოლკლორის უბადლო შემსრულებელი იყო. ბრწყინვალედ მღეროდა, ცეკვავდა. ორი ხალხური ცეკვის „შუამთურის“ და „ხორუმის“ ავტორია, რომელსაც შემდეგ მისმა შვილმა, დედაჩემის მამამ ალიოსმან ბაბუამ ფრთები შეასხა და თანასოფლელ მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა მოცეკვავეთა ანსამბლი, რომელიც მრავალ ფესტივალსა თუ ღონისძიებაში მონაწილეობდა. ასევე, ცნობილია ხუსეინ ზოიძის „ნიდაინანო“ და შაირები, რომელსაც დღეს უკვე მთელი საქართველოს ფოლკლორული ანსამბლები ასრულებენ. სამწუხაროდ, მე ცეკვის ნიჭი არ აღმომაჩნდა, მაგრამ დიდი პატივი იყო, ჩემს ძმებ კახა და იაგო ჯურკვეიძეებთან და ბიძა მიხეილ ზოიძესთან ერთად მემღერა დიდი პაპის ერთ-ერთი ფოლკლორული ნიმუში „ვოისა“. 2006 წელს

- ვოკალურ ანსამბლ „ბათუმის“ წევრობა პატივიცაა და პასუხისმგებლობაც, რა ფაქტორი უძღოდა წინ ამ ანსამბლში დამკვიდრებას?

- დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. ანსამბლ „ბათუმს“ უკვე 30-წლიანი შემოქმედებითი ისტორია აქვს. ამ ისტორიას გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ქმნიდნენ და ქმნიან. თითოეული მათგანი ქართული სიმღერის დიდოსტატია. ბუნებრივია, ასეთ ხელოვანებთან მუშაობა უდიდესი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. ერთი დიდი სიამოვნება და პატივია მათთან ერთად სცენაზე გამოსვლა. აქედან გამომდინარე, ჩემი მთელი ცხოვრება ანსამბლ „ბათუმს“ უკავშირდება. რაც შეეხება იმას, თუ როგორ დავიმკვიდრე ადგილი, შეიძლება ამბიციური ნათქვამი იყოს, მაგრამ ეს განაპირობა ჩემმა ვოკალურმა და მუსიკალურმა შესაძლებლობებმა.

- ქვეყანას ჰყავს ძმები პროფესორები, ძმები რეჟისორები. შუახევისთვის ძმების სოლისტობა იშვიათობაა. იაგო გზრდიდათ თუ მას ზრდიდით?

- საინტერესო კითხვაა. ჩვენს ქვეყანას ჰყავს უამრავი ნიჭიერი ადამიანი, რაც ძალიან სასიამოვნო და გასახარია. კარგია, როცა ძმებს გვაქვს ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ამ სფეროში. იაგო ჩემზე 6 წლით უმცროსია და, ბუნებრივია, ის ჩემს თვალწინ გაიზარდა, ძალიან მალე და დამაარსებელია. უდიდესი როლი მიუძღვის ანსამბლის შემოქმედებით განვითარებაში. ამავდროულად ის იყო დიდი ხელოვანი და შესანიშნავი პიროვნება, უამრავი ახალგაზრდის ხელშემწყობი და დამკვალიანებელი. ბედნიერი ვარ, რომ მეც მხვდა წილად პატივი მასთან მეგობრობისა. საბედნიეროდ, ბატონმა ნოდარმა დატოვა შესანიშნავი შთამომავლობა, ბრწყინვალე შვილები, გამორჩეული ხელოვანები, კარგი მეგობრები და ანსამბლის სული და გული - ჭაბუკა და მამუკა სურმანიძეები. მათ შემოქმედებას მთელი საქართველო იცნობს. დღესაც ღირსეულად აგრძელებენ თავიანთ საქმეს. ჭაბუკა სურმანიძე არის ანსამბლის გამორჩეული სოლისტი და დირექტორი. ბედნიერი ვარ, რომ ეს მეგობრობა დღესაც გრძელდება და გაგრძელდება მრავალჟამიერ.

- უცხოეთის ოცამდე ქვეყნის მაყურებელი იცნობს თქვენს ხელოვნებას. ყველაზე მეტად რომელ ქვეყანაში გასტროლი იყო შთამბეჭდავი?

- საოცარი შეგრძნებაა, როცა უცხოეთის სცენაზე გამოდიხარ და ასრულებ იმ მარგალიტებს, რომელსაც მისი უდიდებულესობა ქართული სიმღერა ჰქვია. ყველაზე მეტად ამ დროს გრძნობ შენი ქვეყნის სიდიადეს. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანა დასამახსოვრებელია, მაგრამ მაინც გამოვყოფდი პოლონეთის რესპუბლიკას, ვინაიდან მათთან დიდი ხნის კულტურული და მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს.

- იურისტის სპეციალობა სცენასთან რამდენად თავსებადია?

- სიმღერა და ხელოვნება ყველა პროფესიას ძალიან უხდება და ალამაზებს.

- 2005 წლიდან ოჯახს მოეკიდეთ. როგორია მეუღლის დამოკიდებულება ხელოვნებისადმი?

- 2005 წლის სექტემბერში შევქმენით ქართული ოჯახი. მეუღლე ცნობილი ლოტბარისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ ფევაძის ქალიშვილია. ამიტომ მისთვის უცხო არ ყოფილა ხელოვნება და ხელოვან ადამიანთან თანაცხოვრება. ბედნიერი, სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი გვყავს. ვზრდით ორ ვაჟს - აკაკისა და არჩილს. გულწრფელად მინდა მადლიერება გამოვხატო მეუღლისადმი, ყველა ჩემს წარმატებაში მას დიდი როლი მიუძღვის.

- ქვეყანას, აჭარას, კულტურასა და ხელოვნებას ღვაწლმოსილი ადამიანები არ აკლია. პირადი ურთიერთობიდან ვის გამოარჩევდით?

- მიუხედავად იმისა, რომ ერთგული გულშემატკივარი საკმაოდ მრავლად მყავს, მაინც გამოვყოფდი ერთადერთ და განუმეორებელ პიროვნებას, ჩემ დიდ მასწავლებელს, მეგობარს და ამავე დროს ჩემს ნათლიას, საქვეყნოდ ცნობილ ლოტბარს და განსაკუთრებით გურული სიმღერების უბადლო შემსრულებელს, ამავე დროს ანსამბლ „ბათუმის“ უცვლელ სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ თემურ დოლიძეს, რომელმაც ძირფესვიანად შემასწავლა ქართული ხალხური სიმღერები და მაზიარა ეროვნულ ხელოვნებას.

- ხომ არ გქონიათ დედაქალაქის ანსამბლებში მიპატიჟება?

- მსგავსი შემოთავაზება არ მქონია, მაგრამ რომც მქონოდა, „ბათუმის“ გარდა, სხვა ანსამბლში თავი ვერ წარმომიდგენია.

- რომელი თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსზე დაწერილ სიმღერას შეიტანდით ანსამბლის რეპერტუარში?

- მრავალი ნიჭიერი პოეტი და მწერალი ჰყავს ჩვენს ქვეყანას. მრავალთან ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. აქედან გამომდინარე, კონკრეტულად ვერავის გამოვყოფდი.

- საქვეყნოდ ცნობილ პოეტ ვახტანგ ღლონტთან თქვენი მეგობრობა როგორ დაიწყო?

- საქართველოში არ მეგულება ადამიანი, ვისაც ბატონ ვახტანგ ღლონტთან მეგობრობა არ სურდეს. იგი მართლაც თანამედროვეობის გამორჩეული პოეტი და საზოგადო მოღვაწეა. ბრწყინვალე ბათუმელი, სულით ხორცამდე ქართველი კაცი, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს მიუძღვნა. ჩვენი მეგობრობა ისე ტკბილად და ბუნებრივად დაიწყო, რომ ზუსტად აღარც კი მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ბედნიერი ვარ, რომ მისი მეგობარი მქვია.

- მშობლიურ შუახევში, ჭვანის ხეობაში, ბიზნესმენ ლევან მუავანაძის მიერ მოწყობილი „მომავლის სოფლის“ სტუმართა შორის იყავით. როგორია იქ მიღებული შთაბეჭდილებები?

- ბატონი ლევან მუავანაძე მართლაც გამორჩეული ბიზნესმენი და სამშობლოზე შეყვარებული კაცია. იგი გამორჩეულია არა მარტო შუახევის მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ ჩვენს კუთხეში და ქვეყანაში თავისი საქმიანობით. ის რასაც აკეთებს, სუფთა ეროვნული იდეალებითა და ღირებულებებით არის გაჯერებული. ადამიანი, ვინც მშობლიურ სოფელში ასეთ სასწაულებს აკეთებს, ეს არ გახლავთ მხოლოდ ერთი სოფლის სიკეთე. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ გიყვარს შენი სამშობლო. სწორედ შენი სოფლიდან უნდა დაიწყო აღმშენებლობა, რომ გადარჩეს ჩვენი ქვეყნის მთისა და ბარის მომავალი. მსგავსი კულტურის, სიკეთისა და სიყვარულის კაცი იშვიათად შემხვედრია. მინდა ჩემს ლევანს წარმატებები ვუსურვო თავისი კუთხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

- რამდენად თავსებადია ქართული ხელოვნება და ბიზნესი?

- ხელოვნება და ბიზნესი ჰარმონიულ თანხვედრაშია ერთმანეთთან.

- თუ გახსენდებათ ბიზნესმენი, რომელიც ძნელბედობის წლებში გვერდით დაგიდგათ?

- არ შემიძლია არ გავიხსენო საქვეყნოდ ცნობილი ქველმოქმედი, ბიზნესმენი, ჩვენი დიდი მეგობარი, სულმნათი ზვიად ცეცხლაძე. რომლის ძალისხმევითა და თანადგომით არსებობდა ანსამბლი „ბათუმი“ უმძიმეს 90-იან წლებში. დიდია მისი ღვაწლი ანსამბლის განვითარებაში.

- „ბათუმი“ გამორჩეულად უყვართ ბათუმელებს, სცენიდან როცა ხედავ მაყურებლის რეაქციას, რა გრძნობა გეუფლებათ?

- მაყურებლის რეაქცია მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ხელოვანის წარმატებაც წარმოუდგენელია მაყურებლისა და შემსრულებლის შეფასების გარეშე. ენით აღუწერელი ემოციაა, როცა მსმენელი ბედნიერია.

- დარბაზში მსმენელთა რაოდენობას თუ აქვს მნიშვნელობა?

- სცენაზე დგომა დიდი პასუხისმგებლობა, ხელოვნებისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარულია. ამიტომ, როცა შენი საქმის პროფესიონალი ხარ, მნიშვნელობა არ აქვს ერთი კაცის წინაშე გამოდიხარ თუ მრავალათასიანი დარბაზის.

- საქმე ვარსკვლავის გახსნაზე რომ მიდგეს, სად ისურვებდით?

- ვარსკვლავგახსნილ ანსამბლში ვირიცხები და ამაში მოკრძალებული წვლილი მეც მაქვს შეტანილი, რაც ძალიან მაბედნიერებს. სხვა ვარსკვლავის გახსნაზე ჯერჯერობით არ მიფიქრია.

- 14 დეკემბერს ვახტანგ ღლონტის ინიციატივით სალონურ საღამოს გიწყობენ, ასეთი პატივი ერთეულთა ხვედრია. რა იქნება ამ ღონისძიების ლაიტმოტივი?

- უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ვახტანგ ღლონტს, ქალაქ ბათუმის მუსიკალურ ცენტრს, ბატონ გიორგი მიქელაძეს ღვაწლის დაფასებისათვის. ამასთან, ეს არის შესაძლებლობა გამოვხატო დიდი სიყვარული ჩემი კუთხის, ქალაქისა და მეგობრებისადმი. საღამოს ლაიტმოტივი, რა თქმა უნდა, იქნება ქართული სიმღერა და მეგობრობა.

ქალი, რომლისთვისაც ადამიანებზე ზრუნვა უპირველესია

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ვაგრძელებთ წარმატებული ქალბატონების თქვენთვის გაცნობას. ამჯერად ჩვენი სტუმარი პროფესიით ექიმი, „ინტერკლინიკისა“ და „ინტერმედიკის“ დამფუძნებელი ***ნინო გორგილაძეა,*** *ადამიანი, რომელიც მთელ თავის ენერგიას სხვა ადამიანებზე ზრუნვას ახმარს და ამბობს, რომ სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეუძლია. თვლის, რომ სამყაროსადმი და ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულია ის ერთადერთი ძალა, რომელიც შეგაძლებინებს „მთები გადადგა“, შეუძლებელი შეძლო, იყო ბედნიერი და სხვებიც გაბედნიერო.*

- მოგვიყევით თქვენს წილ ბათუმზე.

- ბათუმში დავიბადე და გავიზარდე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წელია, თბილისში ვცხოვრობ, მაინც ბათუმელად ვთვლი თავს და ეს ძალიან მეამაყება. ბათუმი ჩემთვის დიდი სიხარულია, თბილი ურთიერთობებია, დაუსრულებელი სიყვარულის ამბავია. ბათუმი ბედნიერი ბავშვობაა, რომელთან დაბრუნება ყოველ ჯერზე ათასი ემოციით მავსებს. ალბათ ის ბათუმი უფრო მიყვარდა - პატარა სახლებით, ქუჩებით, თუმცა, როცა ჩემს ბინაში ვარ, საიდანაც პირდაპირ ზღვას გადავყურებ, ცოტა ხნით მაინც მავიწყდება ჩემ უკან აღმართული ბეტონის კედლები და ემოციებით ისევ ძველ, ჩემს ბავშვობის

დროინდელ ბათუმში ვბრუნდები. მე და ჩემი მეუღლე ხშირად ვმოგზაურობთ, მაგრამ, რომელ ქვეყანაშიც უნდა ვიყოთ, ყველაფერს ბათუმში ჩვენი ბინის ხედს ვადარებთ და ვხვდებით, რომ ჯერ არცერთს არ აღვუფრთოვანებივართ ისე, როგორც ხედს ჩვენი ბინის ფანჯრიდან.

- როგორ გაჩნდა „ინტერკლინიკის“, შემდეგ კი „ინტერმედიკის“ დაფუძნების იდეა?

- თავდაპირველად, 2003 წელს, თბილისში გავხსენით „ინტერკლინიკა“, ცნობილ ექიმ არჩილ ახმეტელთან ერთად. ყოველთვის მსურდა ირგვლივ ისეთი ადამიანების შემოკრება, ვისთან ერთადაც არაერთ ჩანაფიქრს შევასხამდი ფრთებს. ასეც მოხდა და დღეს ამაყი ვარ ჩემი გუნდით როგორც თბილისში, ასევე ბათუმში. ჩემი მეგობარი თამუნა ცხომელიძე, რომელთან ერთადაც ვსწავლობდი მოსკოვში, ხშირად მირჩევდა, ნინო, გახსენი ბათუმშიც კლინიკა და ვიმუშაოთ ერთადო. ამაზე თავდაპირველად რატომღაც საერთოდ არ მიფიქრია, მაგრამ მერე ვთქვი - რატომაც არა. თამუნა ცხომელიძე, რომელსაც საკუთარ დასავით ვენდობი, აღმოჩნდა ბრილიანტი. 2011 წელს ჩაუდგა „ინტერმედიკას“ სათავეში, შემოიკრიბა საოცარი გუნდი და დღეს ბათუმში ერთ-ერთ მოწინავე კლინიკად, დიაგნოსტიკურ ცენტრად ითვლება, რომელსაც წლებია, ადამიანები უპირობო ნდობას უცხადებენ. თითოეული ადამიანი, ვინც „ინტერმედიკაში“ მუშაობს, მართლაც მარგალიტია. ყოველთვის მიხარია მათი და იმის დანახვა, თუ რა ერთგულად და დაუღალავად, მომღიმარი სახეებით ემსახურებიან ადამიანებს, ვინც „ინტერმედიკაზე“ აკეთებს არჩევანს.

- ხშირად მოგზაურობთ, ამბობთ, რომ ეს თქვენთვის შეუცვლელი ადრენალინია...

- მეუღლესთან ერთად ლამის მთელი მსოფლიო მოვლილი მაქვს, მართლაც, ყველაზე მაგარი ადრენალინი ახლავს მოგზაურობას. ჩემი ერთგვარი ჰობი მოგზაურობისას ახალი ადგილების აღმოჩენაა, უფრო ავთენტური გარემოს ხილვით ვარ ხოლმე აღფრთოვანებული, ისეთის, სადაც ცივილიზაციას ჯერ კიდევ არ შეუღწევია. აზიაზე ვგიჟდები, აზიის ქვეყნებში მოგზაურობა, ვფიქრობ, ყველაზე დიდი სიამოვნებაა. მომავალშიც არაერთი ქვეყნის მონახულებას ვგეგმავ და მიხარია, რომ წინ კვლავ მელოდება დაუვიწყარი შთაბეჭდილებები.

- ამბობენ, რომ მუდამ სხვებზე ზრუნავთ...

- მართლა ვერ ვხსნი, რატომ ვერ ვჩერდები და სიმშვიდის უფლებას რატომ არ ვაძლევ საკუთარ თავს, ირგვლივ ყველას პრობლემის მოგვარებას საკუთარ მხრებზე რატომ ვიღებ?! თუმცა ერთი რამ ზუსტად ვიცი: ვინმეზე რომ არ ვიზრუნო, ალბათ ვერ შევძლებ. ღმერთს ვთხოვ, შემაძლებინოს, დახმარების ხელი გავუწოდო ადამიანებს, ვისაც ეს სჭირდებათ. ასეა: ერთხელ თუ „მოიწამლე“ სიკეთის კეთების სურვილით, ვერასდროს იკურნები, ვერ ჩერდები.

- ყველაზე მეტად რა გსურთ?

- ირგვლივ ყველა ჯანმრთელად მყავდეს, ამაზე დიდი ბედნიერება, დამიჯერეთ, არაფერია!

აჭარის მთავრობის ინფორმაციით...

იმ პროექტებს შორის, რომლებსაც რეგიონი ტურისტებს სთავაზობს, გახლავთ ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ჯვარიმინდორის ტურისტული თავშესაფრები, საპიკნიკე სივრცეები და სამთო ველობილიკი... განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხიხანის ციხეზე ასასვლელი ბილიკის მშენებლობა, რომელიც ტურისტებს ხიხანის ციხის დალაშქვრას გაუმარტივებს. განახლებული ბილიკით სარგებლობას ტურისტები მომავალ ზაფხულში შეძლებენ.

„ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე უკვე მიმდინარეობს გარემოსთან ადაპტირებული საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, შემდეგი წლისთვის კი ნაკრძალს მოსასვენებელი სივრცეები, შთამბეჭდავი ვიზუალისა და სიმაღლის გადმოსახედი პლატფორმა და ავტოპარკინგი შეემატება. ექსტრემალური და თავგადასავლების მოყვარული მოგზაურებისთვის რეგიონში კანიონინგის ორი ტურისტული მარშრუტი მოეწყო. უჩხოსა და კაპნისთავის კანიონზე ტურისტებს კასკადურ ჩანჩქერებზე თოკებით დაშვებისა და ულამაზესი ხეობების დალაშქვრის საშუალება აქვთ. კანიონგთან ერთად აქტიურად მასპინძლობს ვიზიტორებს ჯვარიმინდორის ტურისტული თავშესაფრებიც. ავთენტური და ეკოლოგიური მასალებით დამზადებული საპიკნიკეები ასევე მოეწყო ნაკონაღვარის მთაზე და კვესაური-ძველიმთის მიმდებარედ ხარისაწოლზე.

სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მიზნით მთიან აჭარას ასევე შეემატა საფეხმავლო-საველოსიპედე ბილიკი. 5-კილომეტრიან ბილიკზე, რომელიც შუახევსა და ქედას ერთმანეთთან აკავშირებს, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყო, რაც მარშრუტზე მოსასვენებელი და რეკრეაციული სივრცეების, საპიკნიკეების, ველოპარკინგის მოწყობას ითვალისწინებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელზეც აჭარაში მუშაობა მიმდინარეობს, ჩირუხის ორზოლიანი ზიპლანია. 1750 მეტრი სიგრძის ზიპლაინი ჩირუხის მთაზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე გაკეთდება, რაც შუახევში ახალ ტურისტული მიზიდულობის ცენტრს შექმნის. ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობა შემდეგ წელს დაიწყება. უკვე მზადაა პროექტი, რომლის მიხედვითაც ხეობაში გარემოსთან ადაპტირებული ღია მანეჟის, დახურული თავლის, ამფითეატრის, ადმინისტრაციული ცენტრისა და წრიული საცხენოსნო ბილიკების მოწყობა იგეგმება. ერთ ჰექტარზე მოწყობილ ღია მანეჟში შესაძლებელი იქნება როგორც მოყვარულების, ისე პროფესიონალების ჯირითი“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

მაღალი რისკჯგუფის მოქალაქეებისთვის...

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ უფასო ვაქცინაცია ყველასთვის - ნებისმიერი მოქალაქისთვის 10 დეკემბრამდე გრძელდება.

„იცით, რომ სულ 200 ათასი დოზა გვაქვს შეძენილი, აქედან 180 ათასამდე უკვე გამოყენებულია და დარჩენილია გარკვეული რაოდენობა, რომელიც უნდა შევინახოთ, მათ შორის, ორსულებისთვის. 10 დეკემბრამდე შევხედავთ, რა დარჩება მარაგში და შემდეგ მხოლოდ მაღალი რისკის ჯგუფებისთვის გავაგრძელებთ ვაქცინაციას, ანუ ამ დროის მონაცემებით, დაახლოებით 20 ათასია დარჩენილი ქსელში. 10 დეკემბრის შემდეგ გარკვეულ რაოდენობას, დაახლოებით 5 ათასს, რეზერვში შევინახავთ. რა ოდენობის ვაქცინაც დარჩება, ის მხოლოდ მაღალი რისკი ჯგუფებისთვის, ორსულებისთვის, ქრონიკული დაავადების მქონე პირებისთვის, დიაბეტიანებისა და ხანდაზმულებისთვის იქნება ხელმისაწვდომი“, - განაცხადა გაბუნიამ.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

შეერთებული შტატები უკრაინისთვის 275 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო დახმარების პაკეტის გასაგზავნად ემზადება. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს. საგენტოს ცნობით, დახმარების მიზანია, გაზარდოს უკრაინის შესაძლებლობები უპილოტო საფრენი აპარატების მოსაგერიებლად და საჰაერო თავდაცვის გასაძლიერებლად. პენტაგონის დახმარება ასევე მოიცავს რაკეტებს მაღალი მობილობის საარტილერიო სარაკეტო სისტემისთვის (HIMARS), 155 მმ-იან ჭურვებს, Humvee-ს სამხედრო მანქანებსა და გენერატორებს. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ მხარი უკვე დაუჭირა თავდაცვის ბიუჯეტს, რომელიც უკრაინისთვის 800 მილიონი დოლარის დახმარებას ითვალისწინებს.

* * *

რუსულმა ძალებმა ხარკოვის ოლქს დაარტყეს, რის შედეგადაც 4 მშვიდობიანი მოქალაქე დაშავდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. „ხარკოვის ოლქში რუსმა ოკუპანტებმა კერძო სახლს დაარტყეს, სადაც ხანძარი გაჩნდა. სამწუხაროდ, არის დაშავებული“, - დაწერა ხარკოვის საოლქო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ოლეგ სინეგუბოვმა „ტელეგრამზე“. სინეგუბოვმა მოგვიანებით განაცხადა, რომ ცნობილი გახდა კიდევ 3 დაშავებულის შესახებ. მისივე განმარტებით, რუსული რაკეტების ნაწილი უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს, მაგრამ ერთ-ერთი კერძო სახლს დაეცა.

* * *

ლუგანსკის საოლქო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი გაიდაი იმედოვნებს, რომ თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები შეძლებენ გაისად ლუგანსკის ოლქის მთელი ტერიტორიის დეოკუპაციას. „იმის გათვალისწინებით, რამხელა ძალა, საშუალებები გადაიყვანეს იქ, ეს ძალიან რთული იქნება. ძალიან მინდოდა, რომ ახალ წელს კრემენაიაში შევსულიყავით. დარწმუნებული ვარ, ზამთრის ბოლოს უკვე შევძლებთ, მივაღწიოთ დემარკაციის ხაზს და საბოლოოდ, 2023 წელს, მთელ ლუგანსკის ოლქს გავათავისუფლებთ“, - განაცხადა გაიდაიმ.

* * *

საფრანგეთმა უკრაინას, ქვეყნის ენერგოსექტორის მუშაობის გასაძლიერებლად, 100 გენერატორი გადასცა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს. აღნიშნული ტექნიკის გაგზავნა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის დახმარებით განხორციელდა. შეგახსენებთ, უკრაინაში, რუსეთის მიერ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების დაბომბვის შედეგად ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით გაჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ევროპამ კამპანია „იმედის გენერატორები“ დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ქვეყანას გენერატორებით დაეხმარებიან.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ზაპოროჟიეს ოლქის ქალაქებში ბერდიანსკში, ტოკმაკში, მელიტოპოლში, ენერგოდარში, დნეპროუდნში, პოლოგისა და ვასილევკაში მოწინააღმდეგის თავმოყრის ადგილებს დაარტყეს, რის შედეგადაც რუსებმა 240 ადამიანი დაკარგეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. უწყების ცნობით, განადგურებულია საბრძოლო მასალის 3 საცავი და 20-მდე ერთეული სხვადასხვა სამხედრო ტექნიკა. „ტოკმაკის ტუბერკულოზის დისპანსერის“ ბაზაზე განთავსებული ჰოსპიტალი სავსეა რუსული საოკუპაციო ძალების დაჭრილი სამხედროებით“, - აცხადებენ გენშტაბში. ამასთან, უწყების ცნობით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგის თავდასხმები ლუგანსკის ოლქის ბელოგორივკას და დონეცკის ოლქის კლეშჩეევკასა და მარინკას ტერიტორიებზე მოიგერიეს. გენშტაბში აცხადებენ, რომ მოწინააღმდეგე არ წყვეტს შეტევის მცდელობას ბახმუტისა და ავდიივკას მიმართულებით.

* * *

დასავლეთი ყველანაირად ცდილობს, შეინარჩუნოს დომინირება, უკრაინელი ხალხი კი ამ მისწრაფებების მსხვერპლი გახდა, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. „ასეთი ქმედებების მძიმე შედეგებს დღეს უკრაინაში ვხედავთ. რამდენიმე წლის განმავლობაში დასავლეთი ურცხვად ეუფლებოდა და ექსპლუატაციას უწევდა მის რესურსებს, ხელს უწყობდა გენოციდს და ტერორს დონბასში, ეს ქვეყანა, ფაქტობრივად, კოლონიად აქცია და ახლა ცინიკურად იყენებს უკრაინელ ხალხს რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად, ტარანად, აგრძელებს რა უკრაინისთვის იარაღისა და საბრძოლო მასალის მიწოდებას, დაქირავებულების გაგზავნას, დასავლეთი მას თვითმკვლელობის გზაზე უბიძგებს“, - აღნიშნა პუტინმა. მისი მტკიცებით, შეერთებულმა შტატებმა ნატოს აგრესიულ გაფართოებაზე ფსონი დადო და, ფაქტობრივად გაანადგურა ათწლეულების განმავლობაში შექმნილი სტრატეგიული სტაბილურობის არქიტექტურა. „დასავლეთი აწესებს უკანონო სანქციებს, იყენებს „ფერადი რევოლუციების“ ტექნოლოგიებს და აჩაღებს სამხედრო კონფლიქტებს“, - აღნიშნა პუტინმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 9/12/22, 21 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

რამინ მიქაბერიძე – ქართული სიმღერის დიდი მოამაგე

მანანა ჯიჯიშვილი 598 24 94 97

საქართველოს დამსახურებული არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, „ხელოვნების ქურუმის“, ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი გამორჩეული მოამაგის, დიდი მომღერლისა და ლოტბარის, არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელ რამინ მიქაბერიძის შემოქმედებითი საღამო მისი მშობლიური ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში გაიმართა

საღამოზე შეიკრიბნენ მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები არა მხოლოდ ამ კუთხიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის - თბილისიდან და ბათუმიდან.

შეხვედრას უძღვებოდა შესანიშნავი ახალგაზრდა მომღერალი, სახელმწიფო ანსამბლ „შავნაბადას“ არტდირექტორი და სოლისტი დავით ცინცაძე, რომელიც შეკრებილთ დროდადრო ამ ბრწყინვალე მომღერლის მიერ განვლილ ნაყოფიერ შემოქმედებით გზას ახსენებდა.

ბატონმა რამინმა ქართული ხალხური სიმღერის შენარჩუნებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. ის არის საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ „ოქროს თაობის“ წარმომადგენლის, ცნობილ მომღერალ ჰამლეტ გონაშვილის უცვლელი პარტნიორი. თბილისში გახსნილია რამინ და მაია მიქაბერიძეების სახელობითი ვარსკვლავი.

დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. 1963-1967 წლებში სწავლობდა თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მომღერალ-სოლისტად მიიწვიეს. მოგვიანებით გადავიდა სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავში“, სადაც ყველაზე მეტად წარმოჩნდა მისი ნიჭი. მისი პარტნიორები იყვნენ ჰამლეტ გონაშვილი, ილია ზაქაიძე, ანზორ ერქომაიშვილი, ირაკლი მათიკაშვილი...

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რამინ მიქაბერიძის პედაგოგიური და სალოტბარო მოღვაწეობა, იგი, ანზორ ერქომაიშვილთან ერთად, ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეს“ ერთ-ერთი დამაარსებელია. ბატონმა რამინმა დიდი როლი შეასრულა ამ ანსამბლის წევრთა აღზრდასა და წინსვლაში. ანსამბლში ერთადერთი გოგონა სოლისტი მისი ქალიშვილი - მაია მიქაბერიძე გახლდათ, რომელიც დღეს მამასა და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, სახელოვნად აგრძელებს მიქაბერიძეების წინაპართა უდიდეს საქმეს - უვლის და ეფერება ქართულ სიმღერას.

რამინ მიქაბერიძემ ახალგაზრდების მთელი თაობა აღზარდა, რომლებიც დღეს სხვადასხვა ფოლკლორულ გუნდში მღერიან. ზოგიც თავად ხელმძღვანელობს ფოლკლორულ ანსამბლებს მთელი საქართველოს მასშტაბით. სხვადასხვა დროს რამინ მიქაბერიძე იყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის (მოგვიანებით „ერისიონად“ წოდებულის), საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“, ვაუთა ვოკალურ ანსამბლ „გორდელას“ სოლისტი. ხელმძღვანელობდა სხვადასხვა გუნდს, მათ შორის ბათუმის ბავშვთა სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლს, რომელშიც 400-ზე მეტი ბავშვი იყო გაერთიანებული, ასევე „საგალობელს“ (მოგვიანებით „პატრიარქის ნათლულები“ ეწოდა), ვაუთა ფოლკლორულ ანსამბლ „ჭონას“, საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხოსანთა ანსამბლს, უსინათლოთა კავშირის ვაუთა ვოკალურ ანსამბლ „კრწანისს“...

ის ჭეშმარიტად სახალხო მომღერალია, ღვაწლმოსილი ლოტბარი და პედაგოგი. ჰამლეტ გონაშვილსა და სხვა მომღერლებთან ერთად მისი ხმაც გაისმის კოსმოსში. მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართველ მომღერალთა და მოღვაწეთა შორის. მისი შემოქმედება ყველას ათბობს, ხმა კი შთამომავლობას საუკუნოდ გაჰყვება.

როგორც დათო ცინცაძემ აღნიშნა, იმისთვის შეიკრიბნენ, რომ ერთხელ კიდევ მოფერებოდნენ სახელოვან შემოქმედს, ჩოხატაურელების ღირსეულ წარმომადგენელს. რამინის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ხაზია მაია მიქაბერიძის შემოქმედება. ის ხუთი შვილის დედაა, ამასთან, ასობით ბავშვის აღმზრდელიც როგორც მუსიკალურად, ისე სამოქალაქო კულტურით - ანსამბლ „პატრიარქის ნათლულების“ ნორჩ მომღერლებს აზიარებს ქართული კულტურის საგანძურს.

რამინ მიქაბერიძე მომღერალთა ოჯახში დაიბადა. ბაბუა - ალექსი ზესტაფონის რაიონიდან იყო წარმოშობით და კარგი მომღერალიც გახლდათ.

საღამოზე ნაჩვენები ვიდეოებიდან მას არაერთი ცნობილი პიროვნება მიესალმა. ვნახეთ ბათუმის ბიჭუნათა გუნდის კადრები. ცნობილ მომღერალს მოეფერნენ როგორც სიტყვით, ისე სიმღერით.

შრომისმოყვარე, თავმდაბალმა ადამიანმა დიდი შემოქმედის სახელი პროფესიული მოღვაწეობით დაიმსახურა. ის ქართული სიმღერების უბადლო შემსრულებელია ბრწყინვალე, ძალიან მაღალი ხმის ტემბრით. დღესაც შეუძლია ურთულესი სიმღერების დაძლევა (ამაში იმ საღამოზეც დავრწმუნდით, როცა მომღერალმა სხვებთან ერთად რამდენიმე შედევრი შეასრულა). უნიკალური მომღერალია იმით, რომ ერთნაირად ძალუძს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერების შესრულება.

რამინ მიქაბერიძის შემოქმედება ძალიან ნაყოფიერია, მაგრამ საღამოზე გამორჩეულად აღინიშნა მისი ბავშვებთან მუშაობა. ითქვა, რომ ანზორ ერქომაიშვილთან ერთად მას დიდი ღვაწლი მიუძღვის „მართვეს“ ჩამოყალიბებაში. მას ქართულ ფოლკლორში ერთ-ერთ ღირსეულ შემოქმედად მიიჩნევენ, რომელიც მთელ საქართველოს უყვარს.

„პატრიარქის ნათლულებმა“ შეასრულეს რამინ მიქაბერიძის სიმღერა „გურიაზე“.

რა თქმა უნდა, მამის შემოქმედებით საღამოზე ითქვა, მის შვილზე, მაია მიქაბერიძეზე. რამინმა დიდი როლი შეასრულა „მართვეს“ წევრთა აღზრდასა და წინსვლაში. გუნდი „პატრიარქის ნათლულები“ დღეს შესრულების ოსტატობით გამოირჩევა და ეს ქალბატონი მაიას დამსახურებაა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო: დღეს ბათუმის მომავალი თაობის დიდმა ნაწილმა კარგად რომ იცის ხალხური სიმღერა, ეს სწორედ ბატონი რამინის დამსახურებაა. შეხვედრაზე გულთბილი სიტყვებით არაერთი გამოვიდა, რომელთა შორის იყო საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი ვალერი ასათიანი: „რაც დღეს ჩოხატაურში ხდება, ეს არ არის ჩვეულებრივი შეხვედრა, ესაა მოგზაურობა მშვენიერ სამყაროში, დღესასწაულია, უნატიფესი, დახვეწილი ხელოვნება. მან ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ბედნიერებაა, რომ ანზორისა და ჰამლეტის ეპოქაში მოღვაწეობდა“.

გურიის ამ კუთხეში ბევრი სახელოვანი ადამიანი - მეცნიერი, მწერალი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწე დაიბადა, მათ შორის, ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძე, ნინო რამიშვილი (მის სახელს ატარებს ჩოხატაურის ხელოვნების სასახლე), ნიკო მარი, ნიკო ბერძენიშვილი და რამინ მიქაბერიძე. „ბატონი რამინი თავისი ცხოვრების წესითა და მოღვაწეობით ავსებს იმ პალიტრას, რომელიც აქ დაბადებულმა ცნობილმა ადამიანებმა შექმნეს. დაუვიწყარია, ჩვენი ანსამბლების გასტროლები მსოფლიოს არაერთი ქვეყანის უდიდეს საკონცერტო დარბაზებში, რომელთა შორისაა განთქმული „ოლიმპო“.

ღვაწლმოსილმა მომღერალმა ცნობილი ხალხური სიმღერები შეასრულა როგორც ადგილობრივ, ისე მოწვეულ ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად.

ჩამობრძანებულმა სტუმრებმა და მასპინძლებმა გულთბილად მიმართეს დიდ შემოქმედს, მათ შორის ჩოხატაურის მერმა დავით შარაშიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავამ. ბათუმელთა სახელით მას მომღერალი აკაკი სურმანიძე მიესალმა.

ქართული ფოლკლორის გარეშე შეუძლებელია ქართული სულის აღზევება. სწორედ ეს შეირძნო დარბაზმა, როცა რამდენიმე ანსამბლმა - მოწვეულმა და ადგილობრივმა, ბატონი რამინის ხელმძღვანელობით, ერთად შეასრულა „ხასანბეგურა“. ფეხზე ამდგარი დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს ადამიანს, რომლის შემოქმედება „ოქროს ასოებით“ ჩაიწერა ქართული კულტურის ისტორიაში.

სკანდალური განცხადება

6 დეკემბერს კატარში ფილიპინელი მუშა საუდის არაბეთის საწვრთნელ ბაზაზე, რესტრავრაციის დროს, პანდუსიდან გადავარდა, სატვირთო მანქანას დაეცა და გარდაიცვალა. Reuters-ის ჟურნალისტის პირველი კითხვაც 2022 წლის მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ნასერ ალ-ხატერისთან სწორედ ეს იყო, რაზეც მან მიუგო:

„უკვე მსოფლიო ჩემპიონატის შუაში ვართ და თანაც ყველაფერი ძალიან წარმატებულად მიმდინარეობს! ეს არის ის, რაზეც ახლა საუბარი გსურთ?! მუშა გარდაიცვალა, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, მაგრამ უცნაურია, თუ რაზე გსურთ ფოკუსირება თქვენს პირველივე კითხვაში. სიკვდილი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეს შესაძლოა სამსახურშიც მოხდეს, ძილშიც. მუშათა სიკვდილი 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას დიდი განხილვის თემაა. ყველაფერი, რაც ითქვა, აბსოლუტური სიცრუეა! ჩვენ ცოტა იმედგაცრუებული ვართ, რომ ჟურნალისტები ამძაფრებენ ამ ცრუ ნარატივს. ვფიქრობ, ბევრმა ჟურნალისტმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს და დაფიქრდეს, თუ რატომ ცდილობდნენ ამდენი ხნის განმავლობაში ამ თემის გაშუქებას“, - თქვა ალ-ხატერიმ.

აღსანიშნავია, რომ კატარის სტადიონების მშენებლობას 6500-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

„ნაპოლიმ“ კვლავ იმარჯვა

ნეაპოლელთა ნახევარმცველმა ხვიჩა კვარაცხელიამ ტრავმის მორჩენის შემდეგ თურქეთში ორკვირიან შეკრებაზე მყოფ „ნაპოლის“ შემადგენლობაში პირველად ითამაშა, რომელმაც ამხანაგურ მატჩში „ანტალიასპორი“ ანგარიშით 3:2 დაამარცხა. ხვიჩა პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. მართალია, მას საგოლე მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა რასპადორიმ პირველი გოლი მისი აქტიურობის შემდეგ გაიტანა. მოკლედ, ხვიჩა დაბრუნდა და, გვჯერა, მომჯადოებელი თამაშით არაერთხელ გაგვახარებს.

რაც შეეხება თამაშს, სტუმრები სრულ უპირატესობას ფლობდნენ, რასპადორისა და პოლიტანოს გოლებით დაწინაურდნენ. მერე რასპადორიმ ბურთი ძელს გაარტყა, ოსიმენმა კი მეკარის შეცდომით ვერ ისარგებლა და პირველი ტაიმი 2:0 დასრულდა. მეორე ტაიმში მწვრთნელმა სპალეტიმ შვიდი ფეხბურთელი შეცვალა, ტაბლოზე კი საბოლოოდ 3:2 დაფიქსირდა - რასპადორიმ დუბლი შეასრულა და საგოლე გადაცემაც მიითვალა.

შემდეგ საკონტროლო შეხვედრას „ნაპოლი“ ხვალ ბელეკში „კრისტალ პალასთან“ გამართავს.

მოამზადა
ამირან გურიელიძემ